

863.309

ლ 85

ია ლორია

ლიანის გზამკვლევი

ონ კისტე

ილიაუნის გზამკვლევი

დონ კიხოძე

ლია ლორია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2021

უმაღლესი კვლევების ცენტრის სერია
ილიაუნის გზამკვლევი

ISSN 2587-5477

UDC(უაკ)378.4(479.22)(045)
ი-431

სერიის რედაქტორი: გიგა ზედანია

დონ კინოთა

ლია ლორია

რედაქტორი: ნატალია ვაჩეიშვილი

დამკაზადონებელი: თინათინ კვირკველია

© 2021, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-371-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინათემა	1
სერვანთესი — ჯარისკაცი და <i>ღონ კინოთეს</i> ავტორი	5
სერვანთესის სიძვევიერი პორტრეტი	17
„ოქროს ხანა“ (El Siglo de Oro).....	19
პასტორალური რომანი.....	25
პიკარესკული რომანი	27
სარაინდო რომანი	29
ღონ კინოთე 1605	33
სათაური.....	33
პერსონაჟები	36
მოქმედების ადგილი	39
სიუჟეტი და აგებულება	40
ღონ კინოთე 1615	67
რატომ უნდა წაიკითხოთ XXI საუკუნის გკითხველმა XVII ს. დასაწყისში დაწერილი <i>ღონ კინოთეს</i> ათას ორასზე მეტი გვერდი?.....	73
ღონ კინოთე და გკითხველი.....	81
გამოყენებული ლიტერატურა.....	91

წინათქმა

„...კაცი რომ თავისი თხზულების გამოქვეყნებას
დააპირებს,
ამით ყოველთვის დიდ საფრთხეში იგდებს თავს,
ვინაიდან არ არსებობს ისეთი თხზულება,
ყველას ერთნაირად რომ მოსწონდეს.“
დონ კიხოტე

სერვანტესის რომანი *დონ კიხოტე (1605, 1615)* ესპანური მწერლობის „ოქროს ხანის“ მწვერვალად არის მიჩნეული. სერვანტესის გავლენა ესპანური ენის განვითარებაზე ისეთი დიდია, რომ მას ხშირად „სერვანტესის ენას“ უწოდებენ (*La lengua de Cervantes*). დღეს ეს ნაწარმოები პირველ თანამედროვე რომანად არის აღიარებული.

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში სერვანტესის შემოქმედების მკვლევარი, ამერიკო კასტრო, წერდა, რომ *დონ კიხოტეს შესახებ* ყველაფერი ითქვა და დაიწერა (Martinez Mata 2008, 13). ოთხი საუკუნის განმავლობაში *დონ კიხოტეს* ირგვლივ შეიქმნა ლიტერატურის კრიტიკის ოკეანე. ვერ ჩამოვთვლით მსოფლიოს ყველა იმ გამოჩენილ მწერალს, ფილოსოფოსს, ხელოვანს, ლიტერატურის მკვლევარს, პოლიტიკოსს, ჩვეულებრივ მკითხველს, რომლებ-

საც ლამანჩელი იდალგოს თავგადასავალზე თავისი აზრი არ გამოუთქვამთ. რომანი მრავალჭირნახულ კარაველას დაემსგავსა, მთლიანად დაფარულს მის სხეულზე მიკრული აღფრთოვანებული კომენტარების ნიჟარებით.

დონ კიხოტეს პროლოგში ვკითხულობთ: „ბევრჯერ ავიღე კალამი ხელში, მაგრამ ისევ უკანვე დავდე, ვინაიდან არ ვიცოდი, რა დამეწერა.“ მეც იმავეს თქმა შემიძლია. არასდროს მიფიქრია, რომ სერვანტესის დონ კიხოტეზე წიგნს დავწერდი, მით უმეტეს გზამკვლევის. ამ სიტყვაში იგულისხმება ნაწარმოებისკენ მიმავალი ყველა ბილიკის ცოდნა, გზის გაკვეთვა, მკითხველისთვის მიმართულებების მიცემა, მისთვის კომპასის მიწოდება. ეს ძალიან რთულია, რადგან რამდენჯერაც არ უნდა დავუბრუნდე ამ მშვენიერ ნაწარმოებს, ყოველ წაკითხვაზე იგი ახალ წიგნად მევლინება. მაინც ვცადე.

რომანის ყველა წახნაგის საფუძვლიანი განხილვა შეუძლებელი და წარუმატებელი იქნებოდა. თქვენ წინაშეა მოკრძალებული ცდა დონ კიხოტეს რთული მხატვრული სისტემის აღწერისა და იმის ახსნისა, რაოდენ გადამწყვეტი წვლილი შეიტანა სერვანტესმა ევროპული პროზის განვითარებაში. ცნობისმოყვარე მკითხველი თავის ინტუიციას, ცოდნას, ინტელექტს, გემოვნებას უნდა ენდოს და თავად შეაფასოს რომანი, მაგრამ თუ სერვანტესისკენ მიმავალი ეს ჩემი პატარა „ბილიკი“ მას გამოადგება, მოხარული ვიქნები.

იმ წყაროთა მცირე ჩამონათვალი, რომლებიც მასაზრდოებდა წიგნზე მუშაობისას, მას ბოლოში აქვს დართული. ციტატები დონ კიხოტედან მოყვანილია

ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანზე დაყრდნობით. ხოლო სერვანტესის ავტოპორტრეტი აღებულია *სამოდღვრებო ნოველების წინასიტყვაობიდან*, რომელიც თარგმნა ნ.სამუკაშვილმა.

მინდა დიდი მადლობა მოვახსენო წიგნების კითხვის ვნებით შეპყრობილ და ლიტერატურის ღრმა მცოდნეს, გიგა ზედანიას, რომელმაც მრავალჯერ წამაკითხა დონ კიხოტე.

შენიშვნებისა და რჩევებისთვის დიდი მადლობა შესანიშნავ ფილოლოგს, ერთგულ უმცროს მეგობარს, ლევან ცაგარელს, რომელმაც მოთმინებით წაკითხა წინამდებარე გზამკვლევი.

სერვანტესი — ჯარისკაცი და დონ კიხოტე ავდორი

ამ ქვეყნად, ჩემო კარგებო, ორ გზას მივყავართ
სიმდიდრისა და პატივისაკენ:
ერთი გზა — სწავლა-განათლების გზაა,
მეორე გზად კი სამხედრო ასპარეზს ვსახავ.
დონ კიხოტე

ვიდრე მივმართავდეთ უშუალოდ რომანს და მის
აღქმას მომდევნო საუკუნეებში, გავიხსენოთ სერ-
ვანტესის ცხოვრების მთავარი ეპიზოდები.

სერვანტესის პიროვნებისა და ცხოვრების შესა-
ხებ ცოტა რამ ვიცით. და ის, რაც ვიცით, არაერთ
კითხვასა და ეჭვს ბადებს. მისი ცხოვრების მნიშვე-
ნელოვანი მოვლენები ზოგ შემთხვევაში ურთიერ-
თგამომრიცხავი დასკვნებისკენ გვიბიძგებს. სერ-
ვანტესის ბიოგრაფები ხშირად ეყრდნობიან მის
ნაწარმოებში მიმოფანტულ აღუზიებს ავტორის
ცხოვრებაზე, მარცხზე, გამარჯვებაზე ან იმედების
გაცრუებაზე. ვიცით, რომ იგი გატაცებით კითხუ-
ლობდა „ყველა წიგნს, რომელიც ხელში ჩაუვარ-
დებოდა“, ბევრს მოგზაურობდა. მისივე სიტყვებით,
„ვინც ბევრს დადის და ბევრს კითხულობს, იგი ბევრს

ხედავს და ბევრი რამ იცის.“ რომანის პირველი ნაწილის მეექვსე თავში, სადაც მოთხრობილია, როგორი გულდასმით გაჩხრიკეს მღვდელმა და დალაქმა დონ კიხოტეს წიგნსაცავი, დალაქი თაროზე სერვანტესის გალატეას აღმოაჩინს და მღვდელი შენიშნავს: „ეს სერვანტესი ჩემი დიდი ხნის მეგობარია, და კარგად ვიცი, რომ უბედურებაში უფრო გამოცდილია, ვიდრე ლექსების თხზვაში.“ ძნელი სათქმელია, რა შეიძლება ივარაუდოს მკითხველმა ამ ციტატის საფუძველზე.

ესპანეთის პატარა ქალაქის, ალკალა დე ენარესის (Alcalá de Henares) ეკლესიის Santa Maria la Mayor არქივში ინახება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, 1547 წლის 9 ოქტომბერს როდრიგო დე სერვანტეს და ლეონორ დე კორტინას მეოთხე შვილი, მიგელი, მონათლულა. ეს ჩანაწერი აფიქრებინებს სერვანტესის ბიოგრაფებს, რომ მწერალი დაიბადა წმინდა მიქაელის დღეს, 29 სექტემბერს. სერვანტესის ცხოვრების პირველი 20 წლის შესახებ ეს ერთადერთი სანდო დოკუმენტი ბეწვზე გადაურჩა სამოქალაქო ომს XX საუკუნის 30-იან წლებში. ცნობისთვის, იმავე წელს გამოქვეყნდა ინკვიზიციის მიერ აკრძალულ წიგნთა პირველი ნუსხა (*El Índice de libros prohibidos de la Inquisición española*) და სისხლის სიწმინდის დებულება (*Estatuto de limpieza de sangre*).

სრული განათლება ახალგაზრდა სერვანტესს, როგორც ჩანს, არ მიუღია. როგორ გაატარა ბავშვობა და როგორი განათლება მიიღო, უცნობია. მისი ოჯახი, რომელიც მუდმივად ვალებით იყო დამძიმებული, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა საცხოვრებლად: კორდობაში, ვალიადოლიდში, სე-

ვილიაში, მადრიდში. მაგრამ არც ერთი ქალაქის სასწავლებელში არ მოიძებნა რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა სერვანტესის მოსწავლეობა. XIX ს-ის დასაწყისში თეოლოგიის დოქტორს, ტომას გონსალეს ერნანდესს (Tomás González Hernández), სალამანკას უნივერსიტეტის რიტორიკის კათედრის ხელმძღვანელს, უნივერსიტეტის არქივში დაცულ დოკუმენტებში აღმოუჩინია ფილოსოფიის სტუდენტ მიგელ დე სერვანტესის სახელზე გახსნილი მატრიკული. წლების შემდეგ სერვანტესის ერთ-ერთმა ბიოგრაფმა ამ დოკუმენტს ველარ მიაგნო. ვარაუდი ვარაუდად დარჩა.

1566 წ. სერვანტესის გაღარიბებული ოჯახი მადრიდში გადასულა საცხოვრებლად. 21 წლის ასაკში სერვანტესი გახდა ერაზმ როტერდამელის მიმდევრის, ხუან ლოპეს დე ოიოსის (Juan López de Hoyos (1511–1583) მოსწავლე მადრიდის საჯარო სასწავლებელში El Estudio de la Villa (Estudio Público de Humanidades de la Villa de Madrid), რომელიც 1346 წელს დააარსა მეფე ალფონსო XI-მ. ამ სასწავლებელს დღესაც ამშვენებს წარწერა, რომელიც იუწყება, რომ აქ სწავლობდა სერვანტესი. ხუან ლოპეს დე ოიოსმა ახლად გარდაცვლილ დედოფალ ისაბელ დე ვალუას (Isabel de Valois) მიუძღვნა კრებული, რომელშიც მისი „ძვირფასი და საყვარელი მოსწავლის“ (caro y amado discipulo), სერვანტესის, ორი ლექსი დაიბეჭდა. ამ წლებში სერვანტესი, მისივე სიტყვებით, „უჩვეულო ძალით დაიმონა თეატრმა და მისი მოტრფიალე გახადა“.

1569 წლის სექტემბერში სერვანტესს ჩხუბის დროს დაუჭრია ვინმე ანტონიო დე სიგურა (Antonio

de Sigura). დუელში მონაწილეობა მკაცრად ისჯებოდა. დუელიანტს ათი წლით მადრიდიდან გაძევება და მარჯვენა ხელის მოკვეთა ემუქრებოდა. დოკუმენტურად დასტურდება მეფე ფელიპე II-ის ბრძანება მიგელ დე სერვანტესის დასჯის შესახებ. ვინ იგულისხმებოდა — მომავალი მწერალი, თუ მისი მოგვარე, გაურკვეველია. აშკარაა, რომ სერვანტესი იძულებული იყო, სწრაფად დაეტოვებინა ესპანეთი და თავი შეეფარებინა იტალიაში, სადაც კარდინალ ჯულიო აკვაივიას (Giulio Acquaviva) სამსახურში ერთი წელი გაატარა. სერვანტესი მოიხიბლა იტალიით. იმოგზაურა, მოინახულა პალერმო, მილანი, ფლორენცია, ვენეცია, პარმა, ფერარა, დატკბა ხელოვნების ნიმუშებით, ბევრს კითხულობდა. როგორი შთაბეჭდილება დატოვა იტალიამ სერვანტესზე, შეიძლება წარმოვიდგინოთ და ვივარაუდოთ მისი მოთხრობის *ლიცენციანტი ვიდრიერა (El Licenciado Vidriera)* წაკითხვისას. მოთხრობაში აღწერილია, როგორ იმოგზაურა ლიცენციანტმა იტალიაში, რომელი ქალაქები დაათვალიერა, როგორი გატაცებით კითხულობდა იტალიური ლიტერატურის მშვენიერ ნიმუშებს — პეტრარკას, ბოკაჩოს, ბანდელოს, არიოსტოს, ტასოს, ლეონ ებრეოს ნაწარმოებებს, როგორ აღფრთოვანდა ხელოვნების ძეგლებით. განსაკუთრებით მოეწონა მას ლუკას, ფლორენციასა და ნეაპოლის უმშვენიერესი ქალბატონები (ვარაუდობენ, რომ სერვანტესს შვილიც შეეძინა ნეაპოლში).

კარდინალის მოახლის სამსახურს სერვანტესმა ამჯობინა სამხედრო სამსახური ესპანურ ჯარში, რაც იმ დროს ყველაზე საპატიო საქმიანობად მიიჩნეოდა. ჯარი ნეაპოლში იყო განლაგებული. 1571

წელს სერვანტესი ჯარისკაცია. იგი თავის ძმასთან, დიეგოსთან, ერთად ნეაპოლში განლაგებული მიგელ დე მონკადას (Miguel de Moncada) ინფანტერიის ქვეგანაყოფში მსახურობს. 7 ოქტომბერს იგი მონაწილეობს ლეპანტოს დიდ ბრძოლაში ოსმალეთისა და საღვთო ლიგის სამხედრო ფლოტს შორის, რომელსაც მეთაურობდა იმპერატორ კარლოს V-ის შვილიშვილი, დონ ხუან ავსტრიელი (Don Juan de Austria). ამ ბრძოლაში ოსმალეთის სამხედრო ფლოტი დამარცხდა. მართალია, ცოტა ხნით ადრე სერვანტესი ესპანეთიდან გაქცევით მარჯვენა ხელის მოკვეთას გადაურჩა, მაგრამ ბედისწერა დაეწია მას ლეპანტოში: იგი 24 წლის ასაკში ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა მკერდსა და მარცხენა ხელში, რომელსაც ამის შემდეგ ველარ იმორჩილებდა. ლეპანტოს ბრძოლაში მონაწილეობით სერვანტესი ამაყოფდა მთელი ცხოვრების განმავლობაში. დონ კიხოტეს მეორე ნაწილის პროლოგში იგი ახსენებს „ამ უდიდეს ბრძოლას, რომლის ბადალიც არ უხილავთ არც აწინდელსა და არც წარსულ საუკუნეებს და ნამდვილად ვერ იხილავენ მომავალი საუკუნეები“. სერვანტესმა ექვსი თვე გაატარა საავადმყოფოში, რის შემდეგაც იგი ისევ დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს. 1575წ. ესპანეთში დაბრუნებისას სერვანტესი თავის ძმასთან ერთად მეკობრეებს ჩაუვარდა ხელში და ალჟირში აღმოჩნდა. მას თან ჰქონდა დონ ხუან ავსტრიელის სარეკომენდაციო წერილები, რამაც მეკობრეებს აფიქრებინა, რომ ძალიან მნიშვნელოვან პირთან ჰქონდათ საქმე და შეეძლოთ, მის სანაცვლოდ დიდი გამოსასყიდი მოეთხოვათ. ძმების გაღარიბებული ოჯახი ხუთი წლის განმავლობაში აგროვებდა მოთ-

ხოვნილ 500 ესკუდოს. ბორკილების მიუხედავად სერვანტესმა ხუთჯერ სცადა უდაბნოს გავლით ან ზღვით გაქცეულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. ხუთივე შემთხვევაში თავის თავზე აიღო დანაშაული და არ ახსენა ისინი, ვინც დახმარება გაუწია. როგორც იყო მის მიერ ტყვეობაში გატარებული წლები, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დონ კიხოტეს პირველი ნაწილის 39-41 თავების წაკითხვისას, რომლებშიც „ტყვედნამყოფი მოგვითხრობს თავის თავგადასავალს.“

დიდი წვალებით ოჯახმა ერთ-ერთი რელიგიური ორდენის ბერების დახმარებით შეაგროვა 500 ესკუდო და გამოისყიდა ჯერ სერვანტესის ძმა, დიეგო და შემდეგ, ბოლო წუთში — მიგელი, როდესაც ის უკვე კონსტანტინოპოლში მიმავალ გალერაზე ბორკილებით აიყვანეს, რათა მონათა ბაზარში გაეყიდათ. 1580 წ. 24 ოქტომბერს 33 წლის სერვანტესი, რომელსაც ამ დროისთვის ლეპანტოელი ცალხელა (El Manco de Lepanto) შეარქვეს, ესპანეთში დაბრუნდა. არავინ იცის — რატომ, მაგრამ ალჟირში ყოფნის დროს მან თავის სახელს კიდევ ერთი სახელი დაუმატა — საავედრა (Saavedra).

სერვანტესმა მცირე ხანი პორტუგალიაში დაჰყო, სადაც მაშინ ფილიპე II მეფობდა. მწერალმა სცადა, ფულადი კომპენსაცია მიეღო მეფისა და ესპანეთის სამსახურში გაწეული თავდადებისთვის, მაგრამ ამოდ. ამ დროს მან დაწერა პიესა *ნუმანსია* (*Numancia*) და *ალჟირული ზნეჩვეულებები* (*Información de Argel*).

1584წ. სერვანტესი დაქორწინდა კატალინა დე სალაზარ ი პალასიოსზე (Catalina de Salazar y Palacios).

მომდევნო წელს სერვანტესმა გამოაქვეყნა დაუმთავრებელი პასტორალური რომანის, *გალატეას (La Galatea)* პირველი ნაწილი.

1587 წ. სერვანტესი სამეფო გალეონების კომისარია სევილიაში (Comisario real de abastos para la Armada). იგი უზრუნველყოფს არმადის მომარაგებას ზეთუნის ზეთითა და ხორბლით. ამავე დროს, იგი არ წყვეტს ლიტერატურულ მოღვაწეობას, წერს სონეტებს, პოემებს, მან ასევე ბედი სცადა დრამატურგიაში, რამდენიმე პიესაც დაწერა, მაგრამ მადრიდის თეატრალურ სივრცეში მეფობდა ლოპე დე ვეგა და სერვანტესმა მკითხველთა და თეატრის მოყვარულთა ყურადღება ვერ მიიპყრო.

1590 წ. სერვანტესმა მეფეს ორჯერ მიმართა თხოვნით, ვაკანტურ თანამდებობაზე დაენიშნა ამერიკაში, მაგრამ უარი მიიღო. ამავე წელს დაიწერა *ზორაიდისა და ტყვედნამყოფის ამბავი*, რომელსაც იგი მოგვიანებით ჩართავს *დონ კიხოტეს* პირველ ნაწილში.

ნოველები *რინკონეტე და კორტადილიო (Rinconete y Cortadillo)* და *ექვიანი ექსტრემადურელი (El Celoso extremeño)*, რომლებიც მოგვიანებით გამოქვეყნდება ნოველების კრებულში, სერვანტესმა სავარაუდოდ 1593 წ. დაწერა. 1597 წ. სერვანტესი შეუდგა გადასახადების ამკრეფის საქმიანობას ანდალუსიაში. სხვადასხვა მიზეზით მართლმსაჯულებასთან არა ერთი კონფლიქტის შედეგად იგი იძულებული იყო, რამდენიმე თვე სევილიის ციხეშიც დაეყო.

1604 წლის შემოდგომაზე სერვანტესს ცენზურაბნება დართო, დასაბეჭდად გადაეცა რომანი *დონ კო*

ხოტე, რომელიც გამოქვეყნდა 1604 წლის დეკემბერში და იანვრიდან ხელმისაწვდომი იყო მადრიდის წიგნების მალაზიაში.

დღიდან გამოცემისა დონ კიხოტეს წარმოუდგენელი წარმატება ხვდა წილად. 1605 წლის განმავლობაში ნაწარმოები ექვსჯერ გამოიცა, რასაც მრავალი უნებართვო გამოცემა მოჰყვა ესპანეთსა და პორტუგალიაში. ესპანეთში არაბული კულტურის გავლენით ზეპირი გადაცემის ტრადიცია საკმაოდ ძლიერი იყო. ზეპირი მთქმელები სოფლებსა და ქალაქებში ხმამაღლა კითხულობდნენ დონ კიხოტეს და ნაწარმოების სცენებსაც ასრულებდნენ.

მართალია, სერვანტესმა ვერ შეძლო ამერიკაში გამგზავრება და იქ დამკვიდრება, მაგრამ მისმა დონ კიხოტემ მადრიდში გამოქვეყნებიდან სულ რამდენიმე თვეში ამერიკის კოლონიებსაც მიაღწია. რომანის მრავალი ეგზემპლარი პერუში გაიგზავნა, ვინმე მიგელ მენდესის (Miguel Méndez) წიგნების მალაზიაში. რომანის მთავარმა პერსონაჟებმა მკითხველებზე ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს, რომ ისინი ყოველდღიური ცხოვრების, დღესასწაულების, კარნავალების თანამონაწილეები გახდნენ. 1606 წ. ზაფხულში, ლიმას კორეხიდორმა (ესპანეთის მეფის მიერ დანიშნული მმართველი და მოსამართლე) დიდი ზეიმი, კარნავალი და სარაინდო ტურნირი მოაწყო. ზეიმის მთავარი მონაწილეები, ფოლკლორისა და ლიტერატურული ნაწარმოებების მოქმედ პირებთან ერთად, ლამაზი იდალგო და მისი ერთგული მსახური, სანჩო, იყვნენ.

1607-1611 წლებში რომანი ორჯერ დაიბეჭდა ბრიუსელში, მილანსა და ისევ მადრიდში. 1613 წ.

გამოქვეყნდა კრებული *სამოდვრებო ნოველები (Novelas exemplares)*. წიგნის პროლოგში სერვანტესი სიამაყით წერს:

...ვფიქრობ (ნამდვილად ასეც არის), რომ პირველმა მე დავიწყე კასტილიურ ენაზე ნოველების წერა, რადგან აურაცხელი ნოველები, რომლებიც ჩვენში იბეჭდება, უცხო ენიდან არის თარგმნილი, ჩემი ნოველები კი სრულს ჩემს საკუთრებას შეადგენენ. როცა მათ ვთხზავდი, არავისთვის მიმიბაძნია, არავინ გამიქურდავს, ისინი ჩემს სულში ჩაისახნენ, მათ სამზეო ჩემი კალმის წყალობით იხილეს....

მომდევნო წელს სერვანტესი აქვეყნებს სატირულ პოემას *მოგზაურობა პარნასზე (Viaje del Parnaso)*.

1614 წ. ვინმე ალონსო ფერნანდეს დე აველიანედამ (არავინ იცის, ვინ იმალებოდა ამ ფსევდონიმის მიღმა), შთაგონებულმა სერვანტესის რომანის წარმატებით, გამოაქვეყნა *დონ კიხოტეს* გაგრძელება სათაურით — „დონ კიხოტე ლამანჩელის მეორე წიგნი“ (Alonso Fernández de Avellaneda, *Segundo tomo del ingenioso hidalgo Don Quijote de la Mancha*), რამაც სერვანტესი ძალიან გააღიზიანა. უზურპატორი აველიანედას სახელს სერვანტესი არაერთხელ ახსენებს თავისი რომანის მეორე წიგნში (II, 59,61,62,70,72,74). მის პროლოგში ვკითხულობთ:

...ერთადერთი, რამაც აღმაშფოთა და სულის სიღრმემდე შემძრა, ის გახლავთ, რომ ბებერი და, თანაც, ცალხელა მიწოდა, თითქოს ჩემზე ყოფილიყოს დამოკიდებული, ლაგამი ამომედო დროისთვის და ჩემი წილხვედრი ყავლი მაინც

შემერებინა, ხელი კი სადმე ტავერნაში ატეხილ ჩხუბში დამეკარგოს და არა უდიდეს ბრძოლაში... თუ ჩემი ჭრილობები მშვენებას არ მმატებენ მათ მხილველთა თვალში, ის ხომ მაინც ცხადია, რომ პატივით მოსავენ და მამალებენ იმათ წარმოდგენაში, ვინც იცის, სად მივიღე ისინი... ჯარისკაცის მკერდსა და სახეზე დარჩენილი ნახმლევეები ის ვარსკვლავებია, რომლებიც დანარჩენებს უჩვენებენ, როგორ ამალდნენ საყოველთაო პატივისცემისა და დამსახურებული ქება-დიდებას ცამდე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წიგნებს ჭაღარით კი არ წერენ, არამედ-ნიჭით, ხოლო ეს ნიჭი წლითიწლობით უფრო ხალასი ხდება... აქ ჩემი გმირის თავგადასავალს გთავაზობთ მთლიანად, მის გარდაცვალებასა და დაკრძალვამდე, რათა ველარავინ გაბედოს მასზე ხმის ამოღება.

რომანის ბოლოს სერვანტესი ისევ მიმართავს აველიანელას:

მხოლოდ ჩემთვის დაიბადა დონ კიხოტე და მხოლოდ მისთვის დავიბადე მე. მას წილად ხვდა ემოქმედა, მე კი — აღმეწერა მისი ქმედება. ჩვენ ორნი ერთი ვართ, იმ ცრუპენტელა ტორდესილიასელი მჯღაბნელის ჯიბრსა და ჯინაზე, რომელმაც გაბედა (ან შეიძლება კვლავაც გაბედოს), თავისი უშნოდ წვერწამახული სირაქლემას ფრთით აღეწერა ჩემი ძლევა მოსილი რაინდის უკვდავი საგმირო საქმენი... (II, 74)

რომანის ბოლოს ვკითხულობთ, რომ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გაცრეცილი პერგამენტები აღმოჩნდა, „სადაც საკმაოდ ზუსტად ყოფილა აღწერილი დონ კიხოტეს საგმირო საქმეები... გარდაცვალება და დაკრძალვა“ (I, 52). აპირებდა თუ არა

სერვანტესი რომანის გაგრძელებას და დონ კიხოტეს გაცოცხლებას? — ძნელი სათქმელია. შეიძლება, იგი სხვა ნაწარმოების წერამ გაიტაცა, რის გამოც დაწყებული ხელნაწერი მიატოვა.

აპოკრიფული დონ კიხოტეს გამოქვეყნებამ სერვანტესს უბიძგა, დაეცვა თავისი ნაწარმოები. იგი თავის შეუპოვარ რაინდს დაუბრუნდა და გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე, 1615 წ. ბოლოს გამოაქვეყნა რომანის გაგრძელება. ამჯერად ავტორმა სიფრთხილე გამოიჩინა და ნაწარმოების ბოლო გვერდებზე მთავარი გმირის სიკვდილი ნოტარიუსის ხელმოწერით დაადასტურა. ეს ცნობა იმისთვის დასჭირდა, რათა „არც ერთ სხვა მთხზველსა თუ მჯღაბნელს უფლება არა ჰქონოდა, გაეცოცხლებინა დონ კიხოტე და უთვალავ საგმირო საქმეთა მოქმედად წარმოეჩინა.“

იმავე წელს გამოქვეყნდა მისი რვა პიესა და რვა ინტერმედია (*Ocho comedias y ocho entremeses*). გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე მწერალმა დაასრულა რომანი *პერსილესი და სიხისმუნდა* (*Perciles y Sigismunda*), რომელიც გამოქვეყნდა ერთი წლის შემდეგ.

სერვანტესი გარდაიცვალა 1616 წლის 22 აპრილს, 68 წლის ასაკში. მისი სურვილისამებრ იგი დაკრძალულია მონასტერში Convento de las Trinitarias Descalzas, რომლის ბერებმა თავის დროზე ძმები დიეგო და მიგელი ტყვეობიდან გაათავისუფლეს და სადაც მისი გარდაცვალების დღე ყოველწლიურად აღინიშნებოდა და აღინიშნება რეკვიემით. უცნაური დამთხვევაა, რომ სერვანტესის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე გარდაიცვალა შექსპირი.

სერვანტესის სიძვენის კორტეჟი



სერვანტესის ერთადერთი სიტყვიერი პორტრეტი თვით დონ კიხოტეს ავტორს ეკუთვნის და წარმოდგენილია მისი სამოძღვრებო ნოველების პროლოგში:

ეს კაცი, რომელსაც ოვალური სახე აქვს, წაბლისფერი თმა, ღია, დიდი შუბლი, მხიარული გამომეტყველება, თითქოს სწორი, მაგრამ ცოტა მაინც კეხიანი ცხვირი, შევერცხლილი წვერი (ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინად ოქროსფრად რომ უბზინავდა), გრძელი უღვაში და პატარა ტუჩები, არც მეჩხერი, მაგრამ არც მთლად ჩაჭიკჭიკებული კბილები, რადგან ექვსიოდ კბილიდა შერჩენია, ისიც ძალზე ოკრო-ბოკრო და ულამაზოა. ტანად საშუალო, არც მაღალი, არც დაბალი, ფეროვანი სახისა, უფრო ქერა, ვინემ შავგვრემანი, ბეჭებში ოდნავ მოხრილია და მუხლებდასუსტებული, სხვა არავინაა, თუ არ ავტორი გალათეასა და დონ კიხოტე ლამანჩელის... მას მიგელ დე სერვანტესს საავედრას ეძახიან, იგი არა ერთი წელი მსახურობდა ჯარისკაცად, ხუთ-ნახევარი წელიწადი გაატარა ტყვეობაში, სადაც კარგად შეეჩვია გაჭირვების უდრტვინველად ატანას. საზღვაო ბრძოლაში, ლეპანტოსთან, არკებუზის ტყვიით ხელი დაუსახიჩრეს და თუმც ზოგიერთს ეს სახიჩრობა საზიზ-

რად ეჩვენება, მის თვალში ის მაინც მშვენიერია,
რადგან ერთ-ერთი სახელოვანი ბრძოლის ღირს-
სახსოვარ ნიშნად შემორჩა, ნიშნად ისეთი ბრძო-
ლისა, როგორც კი წარსულ საუკუნეებს უნახავს
ან მომავალი იხილავს, როდესაც „ომთა რისხვის“
კეთილად მოსაგონებელი კარლოს მეხუთის ძის
ძლევა მოსილი დროშის ქვეშ იბრძოდა.....

„ოქროს ხანა“ (El Siglo de Oro)

სერვანტესი „ოქროს ხანის“ მწერალი იყო და მიმართავდა მე-XVI-XVII საუკუნეების მკითხველს, რომელიც განსაკუთრებულ ისტორიულ-კულტურულ სივრცეში ცხოვრობდა.

გეოგრაფიული აღმოჩენები, პოლიტიკური წარმატებები და სამხედრო პერსპექტივები, ახალი შთაბეჭდილებების სიუხვე და მრავალფეროვანი მოღვაწეობის შესაძლებლობები — ყოველივე ეს აისახება ამ პერიოდის ესპანურ ლიტერატურაში და მას განსაკუთრებული ენერგიით, მგზნებარებითა და ფანტაზიით ამდიდრებს.

ამ პერიოდს წინ უსწრებდა XV ს. უკანასკნელ ათწლეულებში ესპანური ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება. მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად მიჩნეულია 1469 წ., როდესაც ისაბელ I კასტილიელი (Isabel I de Castilla 1451-1504) და ფერნანდო II არაგონელი (Fernando II de Aragón 1452-1516) დაქორწინდნენ და კასტილია და არაგონი ერთიან სახელმწიფოდ აქციეს. ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნაში კათოლიკე მეფე-დედოფალმა, ისაბელმა და ფერნანდომ, დიდი როლი შეასრულეს. დედოფალი ფლობდა რამდენიმე ენას, მისი პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი მიგვანიშნებს იმაზე, რომ

იგი კარგად იცნობდა როგორც ანტიკურ კულტურას, ასევე თანამედროვე ლიტერატურას. მაგრამ მისი გადაჭარბებული რელიგიურობა რამდენადმე ზღუდავდა მის მსოფლმხედველობას და მხატვრული ინტერესების წრეს. დედოფალი ისაბელ მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩენდა ხელგაშლილობას მწერლების, მხატვრებისა და მოაზროვნეების მიმართ, თუ მათი აზრები მის რელიგიურ შეხედულებებს არ ეწინააღმდეგებოდა. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის, რომ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ესპანეთში ეკლესიის დიქტატი ჰუმანისტურ ტენდენციებზე ბევრად უფრო ძლიერი იყო. თუ იტალიაში კათოლიკურმა რეაქციამ გვიანდელი რენესანსის ბოლოს იჩინა თავი, ესპანეთში იგი მუდმივად თან სდევდა ყოველგვარ სიახლეს და ფაქტობრივად მის პარალელურად არსებობდა. არისტოკრატიული ელფერის იტალიური და ფრანგული ლიტერატურისგან განსხვავებით, ესპანურ ლიტერატურას რამდენადმე აკლდა ელევანტურობა და დახვეწილობა. გაცილებით უფრო სავალალო კი ის იყო, რომ ესპანეთში 1478 წლიდან მძვინვარებდა თავისუფალი აზროვნების მთავარი მტერი – ინკვიზიცია.

1492 წ. მოხდა სამი მნიშვნელოვანი მოვლენა: დაეცა გრანადა და დამთავრდა არაბთა რვასაუკუნოვანი ბატონობა ესპანეთში, კოლუმბმა (Cristóbal Colón 1451-1506) ახალი კონტინენტი აღმოაჩინა და ელიო ანტონიო დე ნებრიხამ (Elio Antonio de Nebrija 1441-1522) პირველად ევროპაში გამოსცა კასტილიური ენის გრამატიკა (*Gramática de la lengua castellana*), რომელსაც მეცნიერების საფუძვლად და ჭეშმარიტების მიღწევის საშუალებად მიიჩნევდა.

მეტად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს კარდინალ სისნეროსის ინიციატივით (Cisneros 1436-1517) გამოცემული *Biblia Poliglota Complutense*. იგი 1514 დან 1517 წლამდე იბეჭდებოდა და 1520 წელს გამოიცა. ამ გამოცემის საფუძველზე მოგვიანებით შესაძლებელი გახდა, წამოწყებულიყო ბიბლიის ფუნდამენტური კვლევები, რაც თეოლოგიის მიმართ სრულიად ახალი, რენესანსული დამოკიდებულების გამოხატულებაა. 1471 წლამდე ბიბლია მხოლოდ ლათინურ ენაზე იყო გამოცემული. ექვსი ტომისაგან შემდგარი *Biblia Poliglota Complutense* მოიცავდა ძველ ალექსანდრიულ ენაზე, რომელსაც ახლდა ინტერლინგარული თარგმანი ლათინურ ენაზე (პირველი ოთხი ტომი), ახალ ალექსანდრიულსა და ლათინურ ენებზე (მეხუთე ტომი), ებრაული და არამეული ენების ლექსიკონს და ებრაული ენის გრამატიკას.

„ოქროს ხანის“ პერიოდის ესპანური კულტურის მიღწევები ენისა და ლიტერატურის, თეატრის, ფერწერის სფეროებს უკავშირდება. ლიტერატურაზე დიდ გავლენას ახდენს ესპანელი ხალხის ეროვნული თვითშეგნება, რომელიც ქვეყნის ისტორიული განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა. ლიტერატურაში ჰუმანისტურ ტენდენციებს უფრო ხალხური, იმპულსური იერი ახასიათებთ, ვიდრე სწავლული და ფილოსოფიური.

ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერება უშუალოდ უკავშირდება ესპანური ენის განვითარებას. XV ს. დასასრულს და XVI ს. დასაწყისში სრულდება ესპანური ენის ენობრივი ფორმების დადგენა, რითაც ესპანურ ენათმეცნიერულ აზროვნებას ეყრება საფუძველი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია გრამატიკოს-

თა მიერ კასტილიური ენის ნორმათა ჩამოყალიბება. სწორედ ამ ეპოქაში ჩნდება ტერმინი *español aureo* – „ოქროს ესპანური ენა“, რომლითაც „ოქროს ხანის“ ესპანური ენა აღინიშნება.

ამ ეპოქის ესპანურ ლიტერატურაში ყველა უანრის ნაწარმოებები გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებულად ღირებული ნიმუშები ეპიკასა და დრამატურგიაში შეიქმნა.

ჩვენ არ შეგჩერდებით აღნიშნული ეპოქის ლიტერატურის ორი მთავარი ტენდენციის, რენესანსისა და ბაროკოს დახასიათებაზე. მხოლოდ გავიხსენებთ იმას, რომ ორივე ტენდენცია ძალზე თავისებურად წარმოჩნდება ესპანეთში. იტალიისაგან განსხვავებით, რენესანსული მხატვრული ტენდენციები ესპანეთში მხოლოდ XVI საუკუნის დასაწყისში იჩენს თავს, თუმცა, რენესანსული ესთეტიკის ელემენტები ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან შეინიშნება. ტოლედოში არსებობდა *Escuela de traductores* (მთარგმნელთა სკოლა), სადაც ქრისტიანი, არაბი და ებრაელი სწავლულები არისტოტელეს, ჰიპოკრატეს, ევკლიდეს, და მრავალი სხვა ავტორის ტექსტებს თარგმნიდნენ კასტილიურ ენაზე.

რენესანსის და ბაროკოს პერიოდის ესპანური კულტურა სპეციფიკური ეროვნული ხასიათით განირჩევა. ამის მიზეზად ე.წ. *españolismo* არის მიჩნეული, რაც გარე გავლენისადმი ჯიუტ წინააღმდეგობას, მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალიზმს, დამოუკიდებლობისკენ ძლიერ მისწრაფებას ნიშნავს. საფრანგეთისგან განსხვავებით, სადაც „პლედის“ პოეტებმა კლასიკური და იტალიური ლექსთწყობის ფორმების დამკვიდრებისას ხელაღებით

უარყვეს ტრადიციული ფრანგული ლექსთწყობა, ესპანელი პოეტები ძნელად ეგუებოდნენ ახალ პოეტურ ფორმებს და ტრადიციულ ლექსთწყობას ჯიუტად ინარჩუნებდნენ.

„ოქროს ხანის“ ესპანურ პროზაში სერვანტესამდე გარკვეული ლიტერატურული ტრადიციები ყალიბდება. მასში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს პასტორალური, პიკარესკული და სარაინდო რომანების ჟანრი იკავებს (აქვე აღვნიშნოთ, რომ ტერმინს „რომანი“ რომელიც სერვანტესის დროს ესპანურ ენაში არ არსებობდა, პირობითად ვიყენებთ. პროზაული ტექსტი დაბალ ჟანრებს განეკუთვნებოდა და „ამბად“, ან „ქრონიკად“, ან „თხრობად“ იწოდებოდა. სერვანტესი თავის დონ კიხოტეს „ჩემს ამბავს“ უწოდებს).

პასტორალური რომანი

პასტორალური რომანი ნამდვილ აღმავლობას XVI საუკუნის მეორე ნახევარში აღწევს. ამ ჟანრის პირველი ნიმუში, ჯაკოპო სანასაროს პოემა არკადია (Jacopo Sannazaro. Arcadia, 1480) გამოქვეყნდა ნეაპოლში 1504 წ. და დიდი გავლენა მოახდინა ესპანურ მწერლობაზე. პასტორალური რომანის გმირები ხშირად მწყემსებად გადაცმული პერსონაჟები არიან, რომლებსაც ნამდვილი პროტოტიპები ჰყავთ. ესენი ცნობილი ადამიანები და ავტორის თანამედროვენი იყვნენ. ამით აიხსნება ის, რომ პასტორალური რომანები მკითხველთა ვიწრო წრისთვის იყო განკუთვნილი, იმათთვის, ვისთვისაც გასაგები იყო მოქმედ პირთა გრძნობებისა და საქციელის ქვეტიქსტი.

მწყემსების გარდა, ესპანური პასტორალური რომანების ერთ-ერთი აუცილებელი პერსონაჟი არაბი იყო. გავიხსენოთ, რომ ამ დროისთვის არაბები განდევნილ იქნენ ესპანეთიდან და, ამდენად, არაბი აღარ წარმოადგენდა საშიშროებას. პირიქით, იგი აღვივებდა მკითხველის ფანტაზიას, თავისი კეთილშობილებითა და სიმამაცით ხიბლავდა მას. სულ მალე არაბული მოტივები მოდად იქცა, რის შედეგადაც პასტორალურ რომანებში არაბულ თემაზე

შექმნილი ნოველებიცაა ჩართული. არაბის სახე ხელოვნების სხვა სფეროებშიც გვხვდება, მაგალითად, ცეკვა-პანტომიმებში ე.წ. „მორისკებში“ (Danzas moriscas). მორისკები იყვნენ ანდალუსიის მკვიდრი გაქრისტიანებული არაბები.

პირველი და ყველაზე ცნობილი პასტორალური რომანია ხორხე მონტემაიორის დიანა (Jorge de Montemayor. *Diana*, 1560). ესპანეთში და მის ფარგლებს გარეთ ამ რომანის ავტორს მრავალი მიმზადველი გამოუჩნდა. მისი ერთ-ერთი ეპიზოდი თავის ორ კომედიაში შექსპირმაც კი გამოიყენა.

პიკარესკული რომანი

XVI საუკუნის დამლევს ესპანეთის ლიტერატურულ სივრცეს პიკარესკული რომანი ამშვენებს. ამ ჟანრის განვითარებას ისტორიული ვითარება უწყობს ხელს. გავიხსენოთ, რომ ამ პერიოდში კოლონიებიდან მოედინება ოქროსა და ვერცხლის ძლიერი ნაკადი, ხოლო იოლი გამორჩენის ცდუნება ასუსტებს ადამიანების დაინტერესებას საწარმოო შრომით და ქვეყანას ეკონომიკური დაცემისკენ მიაქანებს. მეორე ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი, სახელდობრ, არაბებისა და ებრაელების მასობრივი განდევნა, რომელთა საქმიანობაზეც იყო დამყარებული ქვეყნის ეკონომიკა. ყოველივე ამის შედეგად მრავლდებიან თავგადასავალთა მაძიებლები, ავანტურისტები, დეკლასირებული გაიძვერები და თაღლითები, რომლებსაც კრებითი სახელი „პიკარო“ (picaro) აერთიანებს. მათი ცხოვრება ყოველგვარი შელამაზების გარეშე უღიმღამო ყოველდღიურობის სახით წარმოგვიდგება. შეიძლება ითქვას, რომ პიკარესკული რომანი ერთგვარი რეაქციაა სინამდვილის ესთეტიზაციაზე სარაინდო და პასტორალურ რომანებში.

პიკარესკული რომანი პიკაროს ავტობიოგრაფიას წარმოადგენს. იგი გვიამბობს ადამიანზე, რო-

მელიც ბავშობიდან თავის გადასარჩენად ყველა ხერხს მიმართავს. წესისამებრ, რომანი პირველ პირშია დაწერილი, რადგან თაღლითი თავად აღწერს თავის ცხოვრებას. გმირის ცხოვრება შუქდება ჯერ ახალგაზრდა პიკაროს თვალთახედვით, ხოლო შემდეგ უკვე ხანდაზმული პიკაროს მიერ, რომელიც კრიტიკულად აფასებს თავის წარსულს. მისი ნაამბობი მკითხველს უქმნის წარმოდგენას იმდროინდელი საზოგადოების ყველა ფენაზე და წარუდგენს მას სოციალური სინამდვილის ფართო პანორამას. პიკარესკული რომანი, თითქოს „უკულმა“ დაწერილი აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებია. ამ „აღზრდის“ საბოლოო შედეგი კი გმირის შერიგებაა სინამდვილესთან. პიკარო იმდროინდელი ესპანური საზოგადოების ტიპური პროდუქტია, მისი საუკეთესო განსახიერებაა. ამ საზოგადოების ყველა ფენა ტყუილისკენ მიდრეკილებით, ქურდობით და სხვა მანკიერი თვისებებით ხასიათდება. ამრიგად, პიკაროს ავტობიოგრაფია XVI საუკუნის „ესპანეთის ბიოგრაფიად“ იქცევა.

რაც შეეხება რომანის სტრუქტურას, იგი ერთ ღერძზე აცმულ და მთავარი გმირის სახით გაერთიანებული ეპიზოდების თანმიმდევრობად შეიძლება წარმოვიდგინოთ. თუმცა თითოეულ შემთხვევაში რომანის ტრადიციული სტრუქტურა იცვლება და ახალ-ახალი დეტალებით მდიდრდება. 1554 წ. გამოქვეყნდა პირველი პიკარესკული რომანი ლასარილიო ტორმესელი (*Lazarillo de Tormes*), რომლის ავტორი უცნობია.

სარაინდო რომანი

„ოქროს ხანის“ ესპანურ მწერლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს სარაინდო ჟანრის რომანი იკავებს. იგი მკვეთრად განსხვავდება საგმირო ეპოსისგან. თუ ეპიკური პოემის მთავარი მოტივი მეფისა და სამშობლოსთვის ბრძოლაა, სარაინდო რომანის გმირს პირადი მიზნები ამოძრავებს. იგი იცავს თავის ღირსებას და მშვენიერ ქალბატონს ეტრფის. ამასთან, საგმირო ეპოსისაგან განსხვავებით, რომანში ისტორიული ფონი საგრძნობლად შესუსტებულია მასში ფანტასტიკური და ავანტურული ელემენტების ჩართვის შედეგად. რომანის გმირი, როგორც წესი, მონაწილეობს რაინდულ ორთაბრძოლებში, ებრძვის ფანტასტიკურ არსებებსა და ჯადოქრებს.

ესპანეთში სარაინდო რომანის აღმავლობა გაცილებით გვიან იწყება. საფრანგეთთან, გერმანიასთან და ინგლისთან შედარებით, ესპანეთში შუა საუკუნეების ლიტერატურის ხიბლი დიდხანს შენარჩუნდა. არ არის გასაკვირი, რომ წმინდა ტერესა ავილელი (Santa Teresa de Ávila 1515-1582) ესპანეთს „გვიან მომწიფებული ხილის“ ქვეყანას უწოდებდა.

უფრო გამართლებულია პარალელის გავლება XV-XVI საუკუნეების მიჯნის იტალიურ საგმირო რომანტიკულ ეპოსთან, თუმცა მათ შორის სხვა-

ობაც ძალზე დიდია: იტალიაში ეს უანრი წააგავს მხიარულ მასკარადს ლამაზი დეკორაციებით; ხოლო ესპანეთში, სადაც დიდგვაროვანთა წრეებში ჯერ კიდევ იგრძნობა შუასაუკუნეებიდან მომდინარე გადაჭარბებული წარმოდგენა კეთილშობილებასა და ღირსებაზე, ყოველივე ეს მეტისმეტად სერიოზულად აღიქმება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სარაინდო რომანი პასუხობს იმ დროის ესპანეთის საზოგადოების მსოფლალქმას. რაინდთა ფანტასტიკური თავგადასავლები თანამედროვე ზღვით მოგზაურთა და კონკისტადორთა საგმირო საქმეებს მოაგონებს მკითხველს. რეკონკისტას შემდეგ, მითურ ურჩხულზე გამარჯვება აღიქმება როგორც შებრძოლება მავრებთან, ხოლო გმირის მიერ ბიზანტიური იმპერიის ტახტის ხელში ჩაგდება ჩრდილოამერიკული იმპერიის დაპყრობას წააგავს. XVI საუკუნის სარაინდო რომანის რომანტიკა ახალისებდა და აღვივებდა ესპანელთა წარმოსახვის უნარს.

უძველესი და ყველაზე ცნობილი სარაინდო რომანია *ამადის დე გაულა* (Amadis de Gaula). იგი მოხსენიებულია სერვანტესის *დონ კიხოტეს* პირველი ნაწილის მეექვსე თავში, როგორც ამ უანრის საუკეთესო ნიმუში. ვარაუდობენ, რომ რომანი XIV საუკუნის დასაწყისშია შექმნილი პორტუგალიელი ავტორის მიერ, რომელიც ე.წ. „არტურის ციკლის“ საგმირო ეპოსის სახეებს, ეპიზოდებსა და მოტივებს იყენებს. რომანის მთავარი პერსონაჟია გალიის მეფისა და პრინცესა ელისენას შვილი, შეუპოვარი და თავისი რჩეულის ერთგული, ამადისი. თავისი სატრფოს, პრინცესა ორიანას სიყვარულით იგი სხვადასხვა ქვეყანაში თავდადებით ებრძვის მრავალ-

რიცხოვან მტრებსა და ურჩხულებს. შინაარსისა და სიუჟეტური ხაზების გადაჭარბებული შეუსაბამობის გამო რომანი მეტად უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამავდროულად, მას უტყუარი ლიტერატურული ღირსებები გააჩნია, რაც მოქნილი და დახვეწილი სტილით, ცოცხალი ენით, ბუნების პოეტური აღწერით არის განპირობებული. *ამადის დე გაულას* პირველი რედაქცია ჩვენამდე არ არის მოღწეული. 1508 წ. სარაგოსაში მას გადამუშავებული სახით ვინმე გარსი როდრიგეს დე მონტალვო (Garci Rodríguez de Montalvo) გამოსცემს. რომანი იმთავითვე ძალზე პოპულარული ხდება, ხოლო მის ავტორს XVI საუკუნეში მრავალი მიმბაძველი უჩნდება. თუმცა ამ ექსტრავაგანტული თავგადასავლებით გადატვირთული რომანების მხატვრული ღირებულება საეჭვოა.

სარაინდო რომანი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ამ ჟანრით საყოველთაო გატაცება იმდენად დიდი იყო, რომ ერთ-ერთი საეკლესიო პირი ამ სტილში ბიბლიური ამბების გადმოცემასაც კი გადაწყვეტს, ხოლო ინფანტი (მომავალი მეფე ფილიპე II) საზეიმო თავყრილობებსა და სხვადასხვა დღესასწაულს მოგზაურ რაინდად გადაცმული ესწრება. XVI ს. ესპანეთში გამოქვეყნდა დაახლოებით 120 სარაინდო რომანი. მაგრამ რეალური ცხოვრებისგან დაშორებული, დრომოჭმული სარაინდო იდეალებით გატაცება, გარკვეული თვალსაზრისით, აფერხებდა ახალი ლიტერატურული ჟანრების წარმოქმნას. ამასთან, სარაინდო რომანით გატაცება უარყოფითად მოქმედებდა მკითხველთა გემოვნებაზე, რასაც საზოგადოების მღელვარება მოჰყვა და კორტესების მოთხოვნით მათი ბეჭვდა აიკრძალა

1590 წ., თუმცა, ამ აკრძალვას არცერთმა გამომცემელმა და ავტორმა ყურადღება არ მიაქცია და კიდევ ორმოცდახუთმა ახალმა სარაინდო რომანმა დაამშვენა ესპანეთის ლიტერატურული პეიზაჟი.

როდესაც XVI საუკუნის დამლევს სიცოცხლის მოტრფიალე რენესანსული განწყობა იმედების გაცრუებასა და პესიმიზმს უთმობს ადგილს, სარაინდო რომანის დრო მთავრდება, და ამას სერვანტესის *დონ კიხოტეს* გამოცემაც უწყობს ხელს.

დონ კიხოტე 1605

მაშ, გამომყევ, სწორუპოვარო ბატონო ჩემო,
მინდა ჩემი გამჭვირვალე ციხე-დარბაზის მთელი
საგანძური გიჩვენო...

დონ კიხოტე

სათაური

როგორც ვიცით, რომანი პირველად 1605 წ. გამოქვეყნდა სათაურით „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტე ლამანჩელი. შეადგინა მიგელ დე სერვანტეს საავედრა“ („El Ingenioso Hidalgo Don Quixote de la Mancha. Compuesto por Miguel de Cervantes Saavedra“). 1615 წ. გამოქვეყნებული მეორე ნაწილის სათაურში სიტყვა „იდალგო“ შეიცვალა სიტყვით „კაბალიერო“: იქვე აღნიშნულია, რომ ორივე წიგნი ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის — „მახვილგონიერი რაინდის დონ კიხოტე ლამანჩელის „მეორე ნაწილი“: მიგელ დე სერვანტეს საავედრა, პირველი ნაწილის ავტორი.“ (“Segunda parte del Ingenioso Cavallero Don Quixote de la Mancha. Por Miguel de Cervantes Saavedra, autor de la primera parte“). 1617 წ. დონ კიხოტეს ორივე ნაწილი პირველად გამოიცა ერთი

სათაურით: „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტე ლამანჩელი. ნაწილი პირველი და მეორე. ავტორი მიგელ დე სერვანტესი“ (“Parte Primera y Segunda del Ingenioso Hidalgo Don Quixote de la Mancha, compuestas por Miguel de Cervantes”).

ორივე წიგნის სათაურში სერვანტესი რომანის მთავარ პერსონაჟს ახასიათებს ზედსართავი სახელით „ingenioso“. ქართველმა მთარგმნელმა გამოიყენა სიტყვა „მახვილგონიერი“. ზედსართავ სახელს ingenioso XVII ს. უფრო ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე დღეს. ასე ახასიათებდნენ გამჭრიახი გონების მქონე ადამიანს, დაჯილდოებულს ნიჭით, წარმოსახვის საოცარი უნარით, რომელსაც ნებისმიერ თემაზე შეეძლო მსჯელობა. პერსონაჟის ეს ირონიული დახასიათება სათაურშივე მიანიშნებს მკითხველს იმაზე, რომ მთავარი გმირი სრულიად განსაკუთრებული პერსონაჟია. ეს ეპითეტი რომანში მხოლოდ სამჯერ არის გამოყენებული — სათაურში და ორჯერ მეორე ნაწილში. სხვა ბევრი ზედსართავი სახელითაც ხასიათდება დონ კიხოტე — მამაცი, შეუპოვარი, უშიშარი, შეყვარებული, ხელგაშლილი, თავაზიანი, მომთმენი, ჯადოქრებისა და ციხეების მმუსვრელი. თვით რაინდი თავს აი, ასე ახასიათებს:

„მის აქეთ, რაც მოგზაური რაინდი გავხდი, მამაციცა ვარ, ზრდილიც, გულუხვიც, თავაზიანიც, ზნესრულიც, შეუპოვარიც, ჭირთამთმენიც და უდრტივინველად ვიტან ტყვეობასაც.“ (I.50)

რატომ კიხოტე? 1584 წ. სერვანტესმა ცოლად შეირთო ახალგაზრდა კატალინა დე სალაზარი (Catalina de Salazar) სოფლიდან ესკივიას, რომელიც მადრიდსა და ტოლედოს შორის მდებარეობს. ერთ-

ერთ ნათესავს ერქვა დონ ალონსო კიხადა სალასარ (Don Alonso Quijada Salazar). დონ ალონსო გატაცებით კითხულობდა სარაინდო რომანებს და დარწმუნებული იყო მათში მონათხრობი ამბების ნამდვილობაში. რამდენად შთააგონა სერვანტესი ნათესავის სახელმა, არავინ უწყის. ეს მხოლოდ ერთ-ერთი ვარაუდია.

ზოგი მკვლევარი უკავშირებს „კიხოტეს“ კატალანურ სიტყვას *cuixot*, რომელიც აბჯრის იმ დეტალს ნიშნავს, რომელიც იცავს თეძოს.

კვლევებში გამოთქმულია კიდევ ერთი ვარაუდი: *Quixu* იყო არაბული ფოლკლორის პერსონაჟი, მრავალი სასაცილო და გასართობი ამბის გმირი. შესაძლებელია, ალჟირში ტყვეობაში ყოფნის დროს 1575-80 წლებში სერვანტესს გაეგო ამ პერსონაჟის სახელი. ასევე შესაძლებელია სერვანტესს თალმუდის მცოდნე ებრაელისგან, რომელმაც იძულებით მიიღო ქრისტიანობა (*converso*), შეეტყო სიტყვა *Kishoteh* (სულელი).

სათაურშივე გვხვდება ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სახელი ლა-მანჩა (*La Mancha*). ლა-მანჩა ესპანეთის ისტორიული რეგიონია. სარაინდო რომანების გმირები ეგზოტიკურ ქვეყნებში მოღვაწეობდნენ, დონ კიხოტე კი მკითხველისთვის ნაცნობ ლა-მანჩაში ცხოვრობს, სადაც უმეტესად გაქრისტიანებული არაბები (*moriscos*) და ებრაელები ცხოვრობდნენ. *La mancha* ასევე ნიშნავს ლაქას, რაც ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ დონ კიხოტე იყო ე.წ. „ახალი ქრისტიანი“ (*Cristiano Nuevo*), რაც მისი ბიოგრაფიის „ლაქა“ იყო. პირველი წიგნის მეცხრე თავში ავტორი გვარწმუნებს, რომ რომანი სინამდვილეში არაბული ენიდან არის ნათარგმნი.

სერვანტესის ეპოქაში ყველა, ვისაც თანამდებობა ან სწავლა სურდა, ვალდებული იყო, წარედგინა „სისხლის სიწმინდის“ სერტიფიკატი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ გვარში არც ებრაელი და არც არაბი არ გამოჩნდებოდა. ველასკესმა, მაგალითად, ასეთი ცნობა ვერ წარადგინა. მაგრამ რაკი მეფის კარის მხატვარი იყო, ინკვიზიციამ თვალი დახუჭა ამ „ნაკლზე“, როგორც გამონაკლისზე.

პერსონაჟები

„სცენის“ წინა პლანზე მკითხველი ხედავს მთავარ მოქმედ პირებს, დონ კიხოტესა და სანჩოს. უკანა პლანზე კი მუდმივად მოძრაობს, საუბრობს, კამათობს, მსჯელობს მომხდარზე, ამბავს ჰყვება, ექვსასზე მეტი პერსონაჟი. ისინი გზაში არიან, სადღაც მიდიან, საიდანღაც მოდიან, ერთმანეთს მოულოდნელად ხვდებიან და ეს შეხვედრები იშვიათად მთავრდება მშვიდობიანად. დონ კიხოტე, შეპყრობილი აკვიატებული აზრებით გმირულ თავგადასავალზე, ჯიუტად ცდილობს დაეხმაროს დაჩაგრულებსა და შეურაცხყოფილებს, ხოლო შემთხვევითი შემხვედრები გაკვირვებული არიან მისი უცნაური სიტყვებითა და საქციელით და დასცინიან მას, მასხრად იგდებენ და ფიზიკურადაც უსწორდებიან.

ამ პერსონაჟების საფუძვლიანი და სრული შესწავლა კი არაა, აღწერაც რთულია და ცალკე კვლევას მოითხოვს, რაც ამ მცირე წიგნში შეუძლებელია. სირთულე მოქმედ პირთა რაოდენობა კი არაა, არამედ ის, რომ პერსონაჟთა უმრავლესობას არ გააჩნია მდგრადი „იდენტობა“ და ისინი მოქმედებენ ან არსე-

ბობენ პარალელურ სამყაროებში. რომანის მრავალ-რიცხოვანი „მოსახლეობა“ ჭრელია, აქტიური. თითოეულს თავისი თვალსაწიერი აქვს და თითოეული მათგანი განსხვავებული აზრისაა მოვლენების შესახებ. ზოგი პერსონაჟი მოულოდნელად გაუჩინარდება, მისი არსებობა აღარავის ახსოვს, შემდეგ კი ისევე მოულოდნელად გამოჩნდება რომელიმე სხვა ეპიზოდში. ამგვარი მოქმედი პირები არა მხოლოდ სერვანტესის დროს, არამედ დღესაც სრულიად უჩვეულოა. დონ კიხოტეს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მკვლევრის (Riley, Edward C. 2000.) აზრით, დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ რომანის პერსონაჟები (თუმცა ეს სქემა პირობითია და მისი შეცვლა უსასრულოდ შეიძლება): მკვლევარი გამოყოფს მოქმედ პირთა ორ მთავარ ჯგუფს: პერსონაჟები, რომლებიც მოქმედებენ რომანის „რეალურ“ სივრცეში და პერსონაჟები, რომლებიც არ მოქმედებენ, რომლებსაც ავტორი ხშირად ახსენებს, მაგრამ ისინი „სცენაზე“ არასდროს გამოდიან. „რეალურ“ სივრცეში მოქმედი პირები შეიძლება იყვნენ ადამიანები, ცხოველები, ან საგნები. ზოგი მათგანი ამავე დროს მოხეტიალე მსახიობებივით ნიღაბს იცვლის და ფიქციურ სივრცეში მოქმედებს, სივრცეში, რომელიც მხოლოდ მთავარი მოქმედი პირის წარმოსახვაში არსებობს: ასე იქცევა ალონსო კიხანო დონ კიხოტედ, ხინეს დე პასამონტიე ჯერ — ბოშად და მოიპარავს სანჩოს ვირს, შემდეგ კი მასვე პედროდ და მარიონეტების სპექტაკლს მოაწყობს, ხოლო ტერესა პანსას, სანჩო პანსას მეუღლეს, ახსენებენ როგორც ხუნა გუტიერესს, მოგვიანებით როგორც ტერესა პანსას, მეორე წიგნის 50-ე თავის სათაურში კი ნახ-

სენებია ტერესა სანჩა, იმავე თავში მსახური უწოდებს მას დონია ტერესა პანსა, მეორე წიგნის 73-ე თავში — ტერესანას. დოროტეა ჯერ გლენის ქალად წარმოგვიდგება, შემდეგ კი პრინცესა მიკომიკონად. მშვიდ და უწყინარ ცხვრებში და ღვინის ტიკებში დონ კიხოტე მამაც მეომრებს ხედავს, ქარის წისქვილებში — გოლიათებს (ქარის პირველი წისქვილი ესპანეთში 1575 წელს დაიდგა და მოსახლეობას ძალიან აკვირვებდა. გასაგებიცაა, რომ რომანის მდიდარი წარმოსახვის მქონე მთავარ მოქმედ პირს ქარის წისქვილი მის მიმართ მტრულად განწყობილ გოლიათად მოეჩვენა).

მეორე ჯგუფის მოქმედ პირთა რაოდენობა ასევე დიდია. მათ შორის მთავარი დუღსინეაა, დონ კიხოტეს „ფიქრთა მპყრობელი“, ჯადოქრები, ლიტერატურული გმირები, აპოკრიფული „დონ კიხოტეს“ ავტორი აველიანედა, არაბი „ნამდვილი“ ავტორი, ისტორიული პერსონაჟები და რაც მთავარია, თავად სერვანტესიც გვევლინება თავისი ნაწარმოების მოქმედ პირად. ერთ-ერთ თავში ყოფილი ტყვე თავის თავგადასავალს ჰყვება და იხსენებს, რომ

მათ შორის იყო მხოლოდ ერთი ესპანელი ჯარისკაცი, სახელად საავედრა, რომელსაც გამომწვევად ეჭირა თავი. არავითარი საფრთხის წინაშე არ იხევდა უკან, რათა თავისუფლებისათვის მიეღწია, ასე რომ დიდხანს ემახსოვრებათ ოსმალებს. (I, XL)

მოქმედების ადგილი

რომანის მოქმედება ვითარდება სხვადასხვა ადგილზე – ლა-მანჩას და არაგონის გზებზე, მინდორში, ტყეში, სიერა-მორენას მთაში, სოფელში, ფუნდუკში (la venta)

ესპანეთში ფუნდუკი იყო განლაგებული მთავარ გზებზე და მგზავრს სთავაზობდა ღამის გასათევს და დაპურებას. ყველა ფუნდუკი, როგორც წესი, ერთი და იმავე გეგმით იყო აშენებული — ორსართულიანი შენობა, დიდი ეზოთი (patio), სადაც იყო ჭა, ცხენების თავლა და დასარწყულებელი. მეფუნდუკე ხშირად ფოსტალიონის როლსაც ასრულებდა. დულსინეას სოფელთან, ტობოსოსთან, დლესაც შემორჩა სერვანტესისდროინდელი ფუნდუკი. როდესაც სერვანტესი არმადას ზეითუნის ზეთითა და ხორბლით ამარაგებდა და ესპანეთის გზებზე ბევრს მიმოდითა, მას მსგავს ფუნდუკში მრავალი ღამე გაუთენებია და ბევრი სხვადასხვა ჯურის მგზავრის ამბავი მოუსმენია.

ღონ კიხოტეში ფუნდუკი შეხვედრების მთავარი „სცენაა“; სადაც თავს მოიყრიან პერსონაჟები, ამბებს ჰყვებიან და სხვადასხვა თემაზე მსჯელობენ. რომანის დასაწყისში, როდესაც ღონ კიხოტე პირველად გადის სახლიდან ფათერაკების საძებნელად, იგი ღამის ფუნდუკში გაათენებს:

...მთელი ის დღე ჩვენმა რაინდმა უგზო-უკვლო ხეტიალში გაატარა... იქაურობა მიათვალეირ-მოათვალეირა, ეგება სადმე ციხე-დარბაზი ან მწყემსის ქოხი მაინც დავლანდოო, სადაც შეიძლებოდა დანაყრებულიყო და დალილ-დაქანცულს სული მოეთქვა. ბედად, გზის შორიახლოს

ერთ ფუნფუკს მოჰკრა თვალი, რომელიც გზის მანათებელ ვარსკვლავად მოეჩვენა. (I, 2)

სიუჟეტი და აგებულება

არის ამბები, რომელთა ხიბლი თავად მათშია,
და არის ამბები, რომელთა ხიბლი მათი თხრობის
მანერაშია.

სერვანტესი

დონ კიხოტეს მეორე ნაწილში, ბაკალავრ სანსონ კარასკოსთან საუბარში დონ კიხოტე შეიტყობს, რომ მასზე წიგნია დაწერილი. იგი დაფიქრდება და შენიშნავს, რომ მისი „ამბის გასაგებად კომენტარები იქნება საჭირო“. ბაკალავრი არ ეთანხმება და პასუხობს, რომ დონ კიხოტეს თავგადასავალი

ისე მკაფიო და გასაგები ენითაა დაწერილი, რომ მისი კითხვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს: ბავშვები ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ, ჭაბუკები თავაულებლივ ჩაჰკირკიტებენ, მოწიფულები მასზე მსჯელობენ და მოხუცები ხოტბას ასხამენ, მოკლედ, ყველა ჯურისა და წოდების ხალხი ისე ხარბად ეტანება, სანთლით დაეძებს, სულმოუთქმელად კითხულობს და ზეპირადაც კი სწავლობს, ასე რომ, ლამის ხელში შემოეხეთ. (II,3)

ორივე პერსონაჟის აზრს შეიძლება დავეთანხმომოთ. რომანის შინაარსი, ბაკალავრ სანსონ კარასკოს თქმით, მართლაც, მარტივია და გასაგები.

დონ კიხოტეში აღწერილია ორმოცდაათ წელს მიღწეული ერთი იდალგოს (hijo de algo, ვილაციის შვილი, ღარიბი, მაგრამ ამაყი, სოფელში მცხოვრები თავადი, რომელიც არ იყო მიღებული მეფის კარზე) ამბავი, რომელიც ცხოვრობდა ლა-მანჩას ერთ-ერთ პატარა სოფელში. იდალგო „მზის ამოსვლიდან ჩასვლამდის და ჩასვლიდან ამოსვლამდის“ თავდავიწყებითა და გატაცებით კითხულობდა სარაინდო რომანებს. იგი უძილობისგან დაიღალა, დაიბნა, მან სინამდვილის განცდა დაკარგა და წაკითხული ამბები ისტორიულ სიმართლედ მიიჩნია. კითხვამ მას ტვინი აუღრია და უცნაურმა აზრებმა შეიპყრეს იგი. ერთ მშვენიერ დღეს მან გადაწყვიტა „მოგზაური რაინდი გამხდარიყო, ცხენზე ამხედრებულს იარაღი აესხა და ფათერაკების საძებნელად“ გამგზავრებულიყო (I,1). იდალგოს ამოძრავებდა კეთილშობილური მიზანი, აღედგინა რაინდობა, აღმოეფხვრა ყოველგვარი უსამართლობა, მოეპოვებინა სახელი და დიდება და აღესრულებინა ყოველივე ის, „რასაც მის მიერ წაკითხულ წიგნებში სჩადიოდნენ მოგზაური რაინდები“ (I,1).

რაც შეეხება თავად დონ კიხოტეს შეფასებას იმის შესახებ, რომ მისი წიგნი კომენტარს მოითხოვს, ესეც მართალია. დონ კიხოტე რთული, მრავალხმიანი და მრავალშრიანი ნაწარმოებია.

ნაწარმოები აგებულია როგორც პაროდია სარაინდო რომანებზე. წიგნის პირველი მკითხველებისთვის უმაღლვე გასაგები იყო, რომ ავტორმა პაროდია დაწერა. ჩვენთვის რომანის სათაურში არაფერი სასაცილო არ არის, მაშინ როდესაც XVII ს-ის მკითხველს სათაური მიანიშნებდა იმაზე, რომ ხელთ „გა-

სართობი წიგნი“ (“libro de entretenimiento”) ეყრდ. იდალგო, ღარიბი, მაგრამ ამპარტავანი მემამულე, XVII საუკუნეში დაცინვის ობიექტი იყო. იდალგოს არასდროს მიმართავდნენ წოდებით „დონ“, ეს არისტოკრატის პრივილეგია იყო. მეორე ნაწილის მეორე თავში დონ კიხოტე სანჩოს ეკითხება, რას ამბობენ მასზე სოფელში. სანჩო პასუხობს:

იდალგოები იძახიან, ერთი ამას დამიხედეთ, იდალგოობა ეცოტავა, თავის სახელს „დონ“-ი მიუმატა და კაბალიერობას წაეპოტინაო, თუმცა სულ ერთი ძირი ვაზი თუ უდგას, ადგილ-მამულეში დაუღლულ ხარებს ვერ მოატრიალებს და ჩამოძონძილ-ჩამოხეული, ნახევრად ტიტლიკანა დაიარებაო. კაბალიეროები ყალბე დგანან, რას ჰქვია, იდალგომ თავი გაგვიტოლაო. მაგისტანებს მეჯინიბეებადაც არ ვიკადრებთ, წალებს რომ მჭვარტლით იწმენდნენ და შავ წინდებს მწვანე აბრეშუმის ძაფით იკემსავენო. (II,2)

რომანის პროლოგში ავტორი მიგვანიშნებს, რომ მიზნად ისახავს „სარაინდო რომანების განქიქებასა და ბრბოზე მათი გავლენის გაქარწყლებას“. რომანის მოქმედი პირების უმრავლესობა გატაცებით კითხულობს სარაინდო რომანებს და ასევე გატაცებით მსჯელობს მათზე. მეფუნდუკესა და მსახურ გოგონას თავიანთი აზრი აქვთ ამ ლიტერატურულ ჟანრზე:

როდესაც მღვდელმა თავისი აზრი გამოთქვა, დონ კიხოტეს ტვინი სარაინდო რომანებმა აურიესო, განცვიფრებულმა მეფუნდუკემ წამოიძახა:

— ვერ გამიგია, ეგ როგორ უნდა მომხდარიყო, ჩემის აზრით, სარაინდო რომანებზე უკეთესი საკითხავი ამ ქვეყნად არა არის რა; სხვა ქალაქებთან ერთად ორი თუ სამი რომანი მეცა მაქვს

და უნდა მოგახსენოთ, რომ თავს მიჩვენია, მეცა და ვინ მოთელის, რამდენ ჩემისთანასაც. მკისას, უქმეებში, აქ რომ მომკვლები მოიყრიან თავს, მათ შორის ერთი წერა-კითხვის მცოდნე მაინც გამოერევა, ხელში აიღებს წიგნს, ჩვენც ოცდაათამდე კაცი, გარს შემოვუსხდებით და ასე სიამოვნებით ვუსმენთ, რომ ყველაფერი გვავიწყდება. მე მაინც, შემოძლია ვთქვა, რომ, როდესაც გაშმაგებული ყიჟინისა და ხმლების ჩახაჩუხის ამბებს ვისმენ, თვითონაც ბრძოლის ყინი მომივლის ხოლმე, სმენით კი, ასე მგონია, დღედაღამ რომ მასმენია, ყურისგდება არ მომწყინდება...

— რაც მართალია, მართალია, — დაეთანხმა მარიტორესი, — სარაინდო რომანებზე, ღმერთმანი, მეც სული მეღევა, რა სჯობია იმათ მოსმენას? მეტადრე ის მომწონს, როდესაც ვინმე ბანოვანი ფორთოხლის ხის ქვეშ ეხვევა რაინდს და ამ დროს კი იქვე დარაჯად მდგარ მოახლეს შურისაგან გული უსკდება და თანაც შიშით კანკალებს, შეყვარებულებს არვინ მოუსწროსო, ისე ტკბილად ჩაგესმის, თითქოს თავლი გადნება პირში. (1, 32)

დონ კიხოტე რომ ყოფილიყო მხოლოდ კომიკური და გასართობი პაროდია სარაინდო რომანზე, იგი ჩაიძირებოდა ოთხსაუკუნოვანი ევროპული ლიტერატურის ოკეანეში, დღეს კი, როდესაც სარაინდო რომანებს აღარავინ აღარ კითხულობს და მათ მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის ფაქტად მიიჩნევენ, არავის გაახსენდებოდა.

რომანის შინაარსი ბევრად უფრო ღრმაა და ტექსტის აგების მხატვრული ხერხები ბევრად უფრო რთული და სერვანტესის დროისთვის მოულოდნელად ახალი, ვიდრე ეს შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს ნაწარმოების პირველი წაკითხვისას.

პირველი წიგნის ბოლოს კანონიკოსი სარაინდო რომანებზე მსჯელობს და აღნიშნავს, რომ მისი აზრით,

ეგრეთ წოდებულ სარაინდო რომანებს სახელმწიფოსათვის ზიანის მეტი არა მოაქვთ რა..... (თუმცა) ნაკლოვანებათა მიუხედავად, სარაინდო რომანებს ერთი კარგი თვისება მაინც აქვთ. კერძოდ, ის, რომ მათი საგანი ხელს უწყობს აზრის ქმედითობას და ვრცელ ასპარეზს სთავაზობს მას, სადაც კალამს შეუძლია თავისუფლად იმოძრაოს და თვალნათლივ წარმოგვიჩინოს ქარიშხლის მძვინვარება, გემების დაღუპვა, სისხლისმღვრელი შეტაკება და სხვა მისთანანი;ყოველივე ამას დაუმატეთ ენის სინატიფე, წარმოსახვის ცხოველმყოფელობა, სიმართლისადმი ერთგულება და დარწმუნდებით, რომ მისი ხელიდან გამოვა უმშვენიერესი ფერადი ძაფით ნაქსოვი, ოქრომკვეთით მოსირმული და სრულქნილების ნიშნით აღბეჭდილი უძვირფასესი ქსოვილი, რომელშიაც ხორცშესხმული იქნება სამწერლო ხელოვნების საბოლოო მიზანი, ეს მიზანი კი სხვა არა არის რა, თუ არა მკითხველის გართობა და, იმავედროულად, განსწავლაც მისი, მოქმედების განვითარების სრული თავისუფლების წყალობით, რის საშუალებასაც სარაინდო რომანი სთავაზობს ავტორს, მას შეუძლია ეპიკოსიც იყოს და ლირიკოსიც, ტრაგიკოსიც და კომიკოსიც და თავისუფლად ისარგებლოს ყველა იმ საშუალებით, რასაც იყენებს ხელოვნების ორი უმშვენიერესი და უნატიფესი დარგი — პოეზია და რიტორიკა, რადგანაც ეპიური ქმნილება შეიძლება პროზაულიც იყოს და პოეტურიც. (I, 47)

სერვანტესის კალამი, კანონიკოსის თქმის არ იყოს, „თავისუფლად მოძრაობს“ მწერალი ოსტა-

ტურად იყენებს ყველა იმ საშუალებას, რასაც მისი დროის ხელოვნება და მწერლობა სთავაზობს და „სრული თავისუფლების წყალობით“ ქმნის „ფერადი ძაფით უმშვენიერეს ნაქსოვს“.

რომანის თანმიმდევრულსა და ერთიან მოქმედებაზე მსჯელობა ძნელია. ცალკეული ავანტიურული ეპიზოდი, ჩართული ნოველები, ყოველდღიური ცხოვრების სცენები, ზოგადი მსჯელობა სხვადასხვა თემაზე, კომიკური ეპიზოდები, სასიყვარულო სცენები, ლექსები — ერთმანეთს თითქოს დამოუკიდებლად მიჰყვებიან. ი.ს.რილის (Riley 2000) სიტყვებით, *დონ კიხოტეს* როგორც ყველა ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია სიმეტრიაც და ასიმეტრიაც.

ერთი შეხედვით, თხრობა ქაოსური იმპროვიზაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთსა და იმავე თავში საუბარი შეიძლება სხვადასხვა თემაზე წარიმართოს, ან საუბრის თემა გაწყდეს და მოულოდნელად გაგრძელდეს რამდენიმე თავის შემდეგ, ან ერთი და იმავე თემის განვითარებას რამდენიმე თავი დაეთმოს.

ეს მოჩვენებითი ქაოსი თავების სათაურებსაც ეხება. იუმორით გამსჭვალული სათაურები ხშირად არ შეესაბამება შინაარსს ან ბუნდოვანია და მკითხველს საფიქრებელში აგდებს, რას უნდა ელოდეს მომდევნო ეპიზოდისაგან. რამდენიმე მაგალითი:

I, 13 — სადაც მოთხრობილია მწყემსი ქალის მარსელას ამბის დასასრული და ზოგი სხვა რამეცაა გადმოცემული;

II, 6 — ...ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავი მთელ ისტორიაში;

II, 9 — სადაც მოთხრობილია ის, რასაც დაინახავთ;

I, 14 — სადაც მოტანილია აწ განსვენებული სასოწარკვეთილი მწყემსის ლექსები და სხვა მოულოდნელი ამბები;

I, 43 — სადაც მოთხრობილია სანჩო პანსას საუბარი თავის ბატონთან და მოხსენიების ღირსი სხვადასხვა ფათერაკი;

II, 33 — ჰერცოგის მეუღლისა და მისი მოახლეების სასიამოვნო საუბარი სანჩო პანსასთან, რაც იმისი ღირსია, რომ წაკითხულ და აღნიშნულ იქნეს;

II, 40 — იმის თაობაზე, რაც ამ ფათერაკსა თუ ღირსსახსოვარ ამბავს ეხება და უკავშირდება;

II, 54 — სადაც ლაპარაკია ამბებზე, სწორედ ამ ისტორიას რომ ეხება და არა სხვას;

II, 70 — სამოცდამეცხრეს რომ მოსდევს და იმ ამბებს ეხება, რომელთა გარეშეც ნამდვილად გაგვიჭირდებოდა ამ ისტორიის მართებული გაგება.

სინამდვილეში, ნაწარმოები მყარ მთლიანობას წარმოადგენს. ეპიზოდები, რომლებიც სიუჟეტურად არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, თხრობის თემატურ გეგმას ემორჩილება და თავს იყრის დონ კიხოტეს ირგვლივ. ერთი საერთო თემიდან — რეალობის აღქმის დაკარგვა სარაინდო რომანების გატაცებით კითხვის შედეგად — ნაკადულებივით მოედინება მრავალი თემა და მოტივი — სალი და დაბინდული გონება, მოჩვენებითი, ილუზორული სამყარო და სინამდვილე, წარმოსახვის უნარი, ფიქცია და რეალობა, ისტორიული ჭეშმარიტების სანდოობა, ცხოვრება და ხელოვნება, იდეალიზმი და რეალიზმი, მარტოობა და სინანული, სიყვარული,

მოჯადოება და განჯადოება, სული და სხეული, და მრავალი, მრავალი სხვა.

დონ კიხოტეს ვრცელი საუბარი ოქროს საუკუნეზე (ძველი ხალხების წარმოდგენის მიხედვით, კაცობრიობის დასაბამიერი ნეტარი და წმინდა პერიოდი) (I, 11) და სამხედრო საქმესა და მწიგნობრობაზე (I, 37, 38) თემატურად აერთიანებს წინამორბედსა და მომდევნო ეპიზოდებს. რომანის დასაწყისში დონ კიხოტე ეკითხება თავის დისწულს, სად არის მისი ბიბლიოთეკა. დისწული პასუხობს, რომ ერთ ღამეს გველეშაპზე შემომჯდარი ჯადოქარი ღრუბლებიდან ჩამოფრინდა და წიგნები გააქრო (I, 7). „ფრესტონი იქნებოდა;“ — პასუხობს დონ კიხოტე. მომდევნო თავში, წისქვილებთან შებრძოლების ეპიზოდში დონ კიხოტე თავის წარუმატებელ შეტაკებას გოლიათებთან ისევ ჯადოქარ ფრესტონს აბრალებს.

...როგორც ჩანს, საფუძველიცა მაქვს, ასე ვიფიქრო, რომ იმ ჯადოქარმა ფრესტონმა, რომელმაც მთელი ოთახი თავის წიგნებიანად მომტაცა, ეს გოლიათები ქარის წისქვილებად აქცია, რათა გამარჯვების გვირგვინი ხელიდან გამოეცა და ჩემთვის. (I, VIII)

მე-15 თავში ნახსენებია ამაღის გალელი, რომელიც მთაში განმარტოვდა და მოსანანიებლად აირჩია განდევილობა, რადგან პრინცესა ორიანას რაღაც აწყენინა. დონ კიხოტეს სურს, მიბაძოს ამაღისს, „სასოწარკვეთილს, ცნობამიხდილსა და გამძვინვარებულს.“ იგი თავად აირჩევს საცხოვრებლად და მოსანანიებლად ერთ ადგილს, „მოხიბლული შრიალა ხეებით, ბურქებითა და ყვავილებით“ (I,25).

პირველ ნაწილში აღწერილი დონ კიხოტეს ორი გამგზავრება ერთი და იმავე სქემის მიხედვით არის აგებული — სახლიდან და სოფლიდან გასვლა, შეხვედრები ფუნდუკში, სახლში დაბრუნება.

რომანი იწყება მთავარი მოქმედი პირის წარდგენით. იდალგო ცხოვრობდა ერთ პატარა სოფელში, რომლის სახელი ავტორს არ ახსოვს. მასთან ერთად ცხოვრობდნენ დიასახლისი, გაუთხოვარი დისწული და ერთი მსახური. იდალგოს ორი ერთგული მეგობარი ჰყავდა — დალაქი, რომელსაც ოსტატ ნიკოლასს ეძახდნენ, და მღვდელი, სახელად პერო პერესი. მის მთელ ავლადიდებას შეადგენდა წინაპრის შუბი, ძველი ფარი, ჯაგლაგი ცხენი და მარდი მწვევარი. იდალგო იყო „ბრგე, თუმცალა ხორცმჭლე და პირხმელი.“ ავტორმა დაზუსტებით არ იცის, რა ერქვა იდალგოს:

ამბობენ, მეტსახელად კიხადა თუ კესადა ერქვაო, (ამ საკითხში მისი ცხოვრების აღმწერი ერთმანეთს არ ეთანხმებიან), მაგრამ სარწმუნო ცნობების მიხედვით, სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ უფრო კიხანა უნდა რქმეოდა, თუმცა, ჩვენი მოთხრობისათვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია, თხრობისას იოტისოდენადაც არ გადავცდეთ ჭეშმარიტებას. (I,1)

სარაინდო რომანების კითხვით შთაგონებულმა იდალგომ, რომელმაც მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, მოგზაური რაინდი გამხდარიყო, უწინარეს ყოვლისა, გაწმინდა და გააპრიალა დაჟანგული იარაღი და შეაკოწიწა ძველი ჩაჩქანი. ოთხი დღე იფიქრა, რა სახელი შეერჩია რაინდის ცხენისთვის, დიდხანს იგონებდა სხვადასხვა სახელს და ბოლოს, თავისი აზრით, ყველაზე ღირსეული და კეთილმო-

ვანი სახელი შეურჩია, როსინანტე. ჩვენი იდალგო კიდევ რვა დღე ეძებდა სახელს თავისთვის. ბოლოს, თვითნებურად დონ კიხოტე დე ლა-მანჩა დაირქვა. სარაინდო რომანებში უმიჯნურო მოგზაური რაინდი არ არსებობდა. ამის გამო ბევრი ფიქრის შემდეგ დონ კიხოტემ არჩევანი შეაჩერა მეზობელ სოფელ ტობოსოში მცხოვრებ გლეს ქალზე, ვინმე ალდონსა ლორენსოზე, და თავის წარმოსახვაში იგი დულსინეა ტობოსელად და იდალგოს „ფიქრთამპყრობლად“ აქცია.

დონ კიხოტეს პირველი მგზავრობა ბოროტების აღმოსაფხვრელად იწყება ივლისის ერთ ცხელ დილას. მან მთელი დღე უგზო-უკვლო ხეტიალში გაატარა და მზის ჩასვლისას, როდესაც დაღლილი როსინანტე ძლივს იდგა ფეხზე, დონ კიხოტემ თვალის მოჰკრა ერთ ფუნდუკს, რომლის ჭიშკართანაც ორი ახალგაზრდა ქალი დაინახა. დონ კიხოტემ ფუნდუკი ძველ ციხე-დარბაზად მიიჩნია, მეფუნდუკე კი — ციხისთავად და ძღვევამოსილ რაინდად. ორი ქალი, თავის წარმოსახვაში, მომხიბლავ, კდემამოსილ, კეთილშობილ სეფექალებად აღიქვა. როდესაც ტახისმკოდავი გლესი მოადგა ფუნდუკს და რამდენიმეჯერ ჩაჰბერა თავის ბუკს, დონ კიხოტე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იმყოფებოდა დიდებულ ციხე-კოშკში და ბუკი მის საპატივცემულოდ უღერდა. დონ კიხოტეს მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა — ჯერ არ იყო რაინდად ნაკურთხი და ამიტომ რაინდთა ორდენს არ განეკუთვნებოდა. მან მიმართა მეფუნდუკეს თხოვნით, ეკურთხებინა იგი რაინდად. „გაქნილ-გამოქეჩილი“ მეფუნდუკე და ორი ქალი ძლივს იკავებდნენ სიცილს. მათ გააცნობიერეს, რომ სტუ-

მარს მეტად უცნაურმა აზრებმა გონება დაუბინდა, მაგრამ მუხლმოდრეკილ დონ კიხოტეს ხმალი შეარტყეს და რაინდად კურთხევის ყველა წესი სწრაფად შეუსრულეს.

დონ კიხოტეს – კმაყოფილს, რომ ნატვრა აუსრულდა – ერთი სული ჰქონდა, როდის გაემშურებოდა ჩაგრულთა დასახმარებლად. მაგრამ გაახსენდა მეფუნდუკის რჩევა, თან ფული და სუფთა სამოსი წაეღო. ამასთან, რაინდს საჭურველმტვირთველიც უნდა მოეძებნა. მას თავისი მეზობელი, გლეხი სანჩო პანსა გაახსენდა და გადაწყვიტა, დაერწმუნებინა იგი, გაჰყოლოდა იმ პირობით, რომ მომავალში დაიპყრობდა დიდ კუნძულს, რომლის გუბერნატორად სანჩოს დანიშნავდა. ამ ყველაფრის მოსაგვარებლად გადაწყვიტა, შინ დაბრუნებულიყო.

პირველი მგზავრობა დასრულდა უსიამოვნო შეხვედრით ტოლედოელ ვაჭრებთან, რომლებიც აბრეშუმის შესაძენად მურსიაში მიემგზავრებოდნენ. დონ კიხოტემ გადაწყვიტა, რაინდივით მოქცეულიყო. მან ვაჭრები შეაჩერა და მოსთხოვა მათ, ელიარებინათ, „რომ მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება უფრო მშვენიერი ასული, ვიდრე ლამანჩის დედოფალი, უებრო დუღსინეა ტობოსელი!“ (I, 2). ამ სიტყვებით იგი მრისხანედ გაექანა ვაჭრებისკენ, მაგრამ საუბედუროდ როსინანტე წაიქცა და მხედარი „კარგა შორს მოისროლა.“ შეხვედრა დამთავრდა იმით, რომ დონ კიხოტეს ცემა-ტყეპა არ ასცდა. საბედნიეროდ, მიწაზე საცოდავად გაშლართული დონ კიხოტე დაინახა მისმა მეზობელმა გლეხმა, სახელად პედრო ალონსომ, რომელმაც იგი სახლში მიიყვანა.

მაშინ, როდესაც დონ კიხოტეს ეძინა, დისწულის თხოვნით, მღვდელმა და დალაქმა დონ კიხოტეს წიგნთსაცავი გულდასმით დაათვალიერეს და აღმოაჩინეს ასზე მეტი სარაინდო რომანი. წიგნების დანახვაზე, რომლებშიც, დიასახლისის ღრმა რწმენით, ჯადოქრები იმალებოდნენ, მან სწრაფად მოიტანა ნაკურთხი წყალი და სასხურებელი. დალაქმა და მღვდელმა წიგნები სათითაოდ დაათვალიერეს და დასაწვავად გაიმეტეს. აუტოდაფეს სულ რამდენიმე წიგნი გადაურჩა, მათ შორის თვით სერვანტესის რომანი *გალატეა*, რომელიც ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ბიბლიოთეკის განადგურებით მთავრდება რაინდის პირველი მოგზაურობა, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა და რომლის განმავლობაში დონ კიხოტე ლა-მანჩას ფარგლებს არ გასცდენია (I, 6).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სერვანტესი, რომელსაც უკვე ჰქონდა დაწერილი რამდენიმე ნოველა, თავდაპირველად ისევ ამ ჟანრს მიმართავდა და არ აპირებდა ვრცელი ნაწარმოების შექმნას. სიუჟეტურად პირველი ექვსი თავი მეტ-ნაკლებად შეკრულ მთლიანობას წარმოადგენს. პირველივე თავებში ავტორი ავითარებს მთავარ თემას, რომელიც წარმართავს თხრობას. სახელდობრ: სად არის ზღვარი რეალურ ცხოვრებასა და ფიქციურ, ლიტერატურულ სამყაროს შორის. მკითხველმა, როგორც თხრობის მონაწილემ, უნდა გაიღვივოს წარმოსახვის უნარი და წარმოიდგინოს, რომ მთავარმა მოქმედმა პირმა, რომელმაც თავად მოუძებნა თავს სახელი და ამგვარად „შექმნა“ თავისი პიროვნება და რეალობა თავის ირგვლივ, ავტორი დაიმორჩილა და მას უბიძგა, მისი

(დონ კიხოტეს) თავგადასავალი გაეგრძელებინა ისე, როგორც დონ კიხოტეს სურდა.

დონ კიხოტე, რომელმაც წინასწარ არ იცის, რა გზას დაადგება და სად მიიყვანს მისი დაღლილი, ერთგული ცხენი, როსინანტე, მეორედ მიემგზავრება თავგადასავალის საძიებლად. ამჯერად იგი ლა-მანჩას ფარგლებს გასცდება და ორიოდ თვის განმავლობაში ფათერაკებს დაეძებს არაგონში (VII,52). ამ მოგზაურობის დროს დონ კიხოტე მართო აღარ არის. სარაინდო რომანების მოთხოვნების შესაბამისად, მას სანჩო პანსა ახლავს, მეზობელი გლეხი, „პატიოსანი და წესიერი კაცი (თუკი შეიძლება წესიერი ეწოდოს ლატაკს)“ (I, 7), რომელიც მან დაითანხმა, გაჰყოლოდა საჭურველმტვირთველად. ღორმუცელა, პრაქტიკული, გამჭრიახი სანჩო პანსა, ამხედრებული თავის ერთგულ ვირზე, დონ კიხოტეს ანტიპოდი. სანჩო პანსა ამიერიდან მუდამ დონ კიხოტეს გვერდით იქნება, „სანჩო კეთილი, სანჩო კაცთმოყვარე, სანჩო ქრისტიანი და ალალ-მართალი“ (II, 11). ვის არ შეხვდებიან ისინი! — მეფუნდუკეს, თხის მწყემსს, უცნაურ არსებებს, ცელქ ქალებს, ბერებს, კატორღელებს, უიმედოდ შეყვარებულებს, ბისკაელს, მეჯორეს, მოხეტიალე დასის მსახიობებს, და მრავალ სხვას. რას არ გადაიტანენ! ერთად მრავალ თავგადასავალსა და ფათერაკს შეეფეთებიან და მუდამ ისაუბრებენ. თუ რომანის დასაწყისში მკითხველი დონ კიხოტეს „გარედან“ უყურებდა, ახლა სანჩოსა და რაინდის თითქმის განუწყვეტელი და განუმეორებელი საუბარი „ჩაგვახედებს“ დონ კიხოტეს სულსა და მის მიერ შექმნილ წარმოსახვით სამყაროში.

მეორე მოგზაურობის ერთიან სიუჟეტზე მსჯელობა ძნელია. მკითხველმა იცის, რომ მას ხელთ უპყრია სარაინდო რომანის პაროდია. სერვანტესი ამ ჟანრის ჩარჩოებით არ არის შებოჭილი. იგი თავისუფლად იყენებს XVII საუკუნეში გავრცელებული თითქმის ყველა ლიტერატურული ჟანრის შესაძლებლობებს. მრავალი, ხშირად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ეპიზოდი ენაცვლება ერთმანეთს. ეპიზოდი შეიძლება მოულოდნელად შეწყდეს და მას მოჰყვეს ჩართული პასტორალური ნოველა ან პიკაროს თავგადასავლის აღწერა, რომლის შინაარსს არაფერი არ აქვს საერთო მთავარ მოქმედ პირთა თავგადასავალთან, ან ლექსი, რომლის ავტორი მოულოდნელად გამოჩნდება და ისევე მოულოდნელად გაქრება.

მოგზაურობა სანჩოსთან ერთად იწყება „არნახული და თავზარდამცემი ბრძოლით ქარის წისქვილებთან“ ამ სცენას მოჰყვება შეხვედრა მამაც ბისკაიელთან (ასე უწოდებდნენ სერვატესის დროს ბასკებს). მაშინ, როდესაც დონ კიხოტე „ხმალშემართული მიიწევდა ბისკაიელზე“, ხოლო „ბალიშაფარებული ბისკაიელი უცდიდა თავის მტერს“, ავტორი „ყველაზე საინტერესო ადგილას შეჩერდა და მოულოდნელად დაუსვა წერტილი თავის მომნუსხველ თხრობას, ისე, რომ არც კი მიგვანიშნა, თუ სად შეიძლებოდა მოგვეძებნა მისი დასასრული“; რადგან „დონ კიხოტეს პირველი მემატიანე მობოდიშებით გვაუწყებს, რაინდის შემდგომ საგმირო საქმეებზე ისტორია დუმსო...“ (I, VIII)

მთხრობელი მკითხველს თავიდანვე აკვირვებს და განზრახ აბნევს. ჯერ იყო და პროლოგში მკით-

ხველი კითხულობს, რომ წიგნი, რომელიც მან გადაშალა, „ავტორის გონების ნაყოფია“, შემდეგ აღმოაჩენს, რომ ავტორი „სინამდვილეში მხოლოდ მამინაცვალა“ და მოგვითხრობს „ნამდვილ ამბავს“, რომელიც მას გამოუძიებია „ლა-მანჩის მატინანთა“ გულმოდგინე შესწავლის შედეგად (ეს სხვა არაფერია, თუ არა ირონიული ალუზია ისტორიკოსებზე, რომლებსაც ჭეშმარიტებაზე აქვთ პრეტენზია). IX თავში კი გაირკვევა, რომ ტოლედოში სეირნობისას მთხრობლის ყურადღება მიუქცევია პატარა ბიჭს, რომელიც ყიდიდა რამდენიმე რვეულს. რვეულებში ტექსტი არაბულ ენაზე ყოფილა დაწერილი. მთხრობელს გამვლელი მორისკისთვის მიუმართავს თხოვნით, ტექსტი კასტილიურ ენაზე ეთარგმნა, და გაკვირვებით აღმოუჩენია, რომ რვეულში აღწერილი ამბავი თურმე ეკუთვნოდა არაბ ისტორიკოსს, სიდ ჰამეტ ბენენხელის.

სერვანტესისდროინდელი მკითხველისთვის არაბი მთხრობლის გამოყენება ნაცნობი და მიღებული ლიტერატურული ხერხი იყო. სარაინდო რომანების ავტორები ხშირად იყენებდნენ არარსებული არაბი ან ბერძენი ავტორის სახელებს და წინასიტყვაობაში მკითხველებს არწმუნებდნენ, რომ მათ ხელთ თარგმანი ჰქონდათ, რათა ეგზოტიკური სახელების ხსენებით ამბავი უფრო დამაჯერებელი გაეხადათ, გაელვივებინათ ინტერესი ნაწარმოების მიმართ და დაერწმუნებინათ მკითხველი მოყოლილი ამბის ნამდვილობაში. სერვანტესი ამ ხერხს ვირტუოზულად იყენებს და კომიკურ ეფექტს ქმნის იმით, რომ მცირე ირონიულ შენიშვნას ურთავს ამ ეპიზოდს, რომელიც დამატებით ააშკარავებს დონ კიხოტეს ფიქციურო-

ბას: „არაბების დამახასიათებელ თვისებად ოდითგანვე სიცრუეს თვლიან“ (I,9).

ამ მომენტიდან და თხრობის ბოლომდე დონ კიხოტეს ავტორი სამი ნიღბის მიღმა იმალება — სერვანტესი, არაბი ისტორიკოსი და მთარგმნელი არაბულიდან კასტილიურ ენაზე. ეს ლიტერატურული ხერხი სამივე „ავტორს“ და მრავალ პერსონაჟს მოქმედებისა და კომენტარების სრულ თავისუფლებას აძლევს. თხრობის ირონიული ტონით დაბნეულ მკითხველს კი სთავაზობს „ამ ამბავზე ისა სთქვას, რაც მას მოუნდება“ და რთულ თამაშში იწვევს მას — თავისუფლად ეძიოს და გამოიცნოს, რისი თქმა სურდა სერვანტესს, რომელიც ცხოვრობდა ესპანეთში, ქვეყანაში, რომელშიც იმხანად ინკვიზიცია მკაცრად აკონტროლებდა წიგნების გამოცემასა და თარგმნას, სტუდენტებს კი ეკრძალებოდათ ევროპის უნივერსიტეტებში სწავლა, ქვეყანაში, რომელზეც ინკვიზიციისა და კონკვისტადორების მძვინვარების გამო ევროპაში მეტად უარყოფითი აზრი, ე.წ. „შავი ლეგენდა“ (leyenda negra) შეიქმნა.

მას შემდეგ, რაც მთხრობელი მკითხველს შეატყობინებს სიღ ჰამეტე ბენენხელის ვინაობას, იგი „თარგმანის მიხედვით“ გააგრძელებს დონ კიხოტეს და ბისკაიელის ბრძოლის ამბის გადმოცემას. ბრძოლა დონ კიხოტეს გამარჯვებით სრულდება და რაინდი და სანჩო თავიანთ გზას გაუდგებიან. დაღამებისას მათ თხის მწყემსების ქოხი დაინახეს, მწყემსებს თავშესაფარი სთხოვეს. „მწყემსებმა გულითადად მიიღეს ისინი“ (I,11). როცა ვახშამი დაასრულეს, მწყემსმა ანტონიომ „საამო ხმით“ სტუმრებს სიმღე-

რა უმღერა, მეორე მწყემსმა კი მარსელას და ქრისტოსტომოს ამბავი მოუთხრო (I.11-14).

რომანში შეიძლება ორი ტიპის თხრობა გამოვყოთ — მთავარი მოქმედი პირების თავგადასავლის აღწერა და ჩართული ეპიზოდები — ნოველები. დონ კიხოტეს

კეთილშობილურ განზრახვას უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ გართობასა და დროსტარებას დახარბებულ ამ ჩვენს საუკუნეში არა მარტო ესოდენ სახელოვანი რაინდის მართალი და უტყუარი ისტორიის მომხიბვლელობით ვტკბებით, არამედ შიგ ჩართული ამბებით და მოთხრობებითაც, რომელთა უმრავლესობაც არანაკლებ მართალი, სასიამოვნო, სახალისო, და თავშესაქცევი გახლავთ, ვიდრე თვით ლამაზი გმირის ისტორია. (I, XXVIII)

ეპიზოდებში დონ კიხოტე და სანჩო არ მონაწილეობენ. ეპიზოდების მოქმედი პირები თავიანთ სამყაროში არსებობენ და იშვიათად შეეხებიან რაინდსა და მის მსახურს. მთავარი და ეპიზოდური პერსონაჟები განეკუთვნებიან განსხვავებულ სამყაროებს და მათ დასახასიათებლად სხვადასხვა ენობრივი სტილი გამოიყენება. სერვანტესის ენა სპეციალურ და სერიოზულ კვლევას მოითხოვს, რაც ამ პატარა გზამკვლევაში შეუძლებელია. აქ მხოლოდ გავიმეორებ სერვანტესის მიერ ირონიით ნათქვამ სიტყვებს:

...თუ ვინმე მოუთმენლად მოელის ჩემს „დონ კიხოტეს“, ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩინეთის იმპერატორი გახლავთ, რომელმაც ამ ერთი თვის წინად წერილი მომწერა ჩინურ ენაზე და მთხოვა,

ან, უფრო სწორად, შემევედრა, თქვენი წიგნი გამომიგზავნეთო; რადგანაც თურმე ესპანური ენის შემსწავლელი კოლეგიის დაარსება დაუსახავს მიზნად და გადაუწყვეტია, ჩინელებს სწორედ დონ კიხოტეს თავგადასავლის მიხედვით შეესწავლათ ჩვენი ენა. ამასთანავე, ზემოხსენებული კოლეგიის რექტორობასაც მთავაზობდა. მაცნესა ვკითხე, იქნებ მისი უდიდებულესობა ცოტაოდენ ფულსაც მთავაზობს-მეთქი? მიპასუხა, ეგ ამბავი აზრადაც არ მოსვლიათ. (II. მიძღვნა ლემოსის გრაფს)

ძალიან გაერთობოდნენ რომანის პირველი მკითხველები, მე-17 საუკუნეში მცხოვრები ესპანელები, როცა ავტორის ამ ირონიულ სიტყვებს წაიკითხავდნენ. როგორ წარმოიდგენდა სერვანტესი, რომ საუკუნეების შემდეგ ესპანურ ენაში დამკვიდრდებოდა ნეოლოგიზმი „el cervantismo“, რომელიც მისი ნაწარმოების საფუძვლიან შესწავლას ნიშნავს?! როგორ წარმოიდგენდა, რომ ამერიკის პრეზიდენტი ჯეფერსონი თავის ქალიშვილებს დაავალდებულებდა, ყოველდღე დონ კიხოტეს 10 გვერდი წაეკითხათ, რათა კარგად ესწავლათ ესპანური ენა და რომ კიდევ ბევრი, ბევრი მკითხველი ოთხი საუკუნის განმავლობაში შეეცდებოდა, დონ კიხოტეს თავგადასავლის მიხედვით ესპანური ენის სიმდიდრეს დაუფლებოდა?! რას იფიქრებდა მიგელ დე სერვანტესი, რომ XXI საუკუნეში, დონ კიხოტეს ცნობილი მთარგმნელი, ედიტ გროსმანი აღფრთოვანებით დაწერდა, რომ სერვანტესის „თხრობის მანერა საოცარია; ის ნაპერწკლებს ყრის და მიედინება როგორც თაფლი“?! (Grossman. Edith, 2005)

მწყემსი ქალის, მარსელას ეპიზოდით, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა პაროდია პასტორალურ

რომანზე (I, 12-14), იწყება ჩართული ნოველების სერია, რომელთა ცენტრში, როგორც წესი, სასიყვარულო ინტრიგაა. მრავალი თავგადასავლის შემდეგ, დონ კიხოტე და სანჩო მიაღწევენ კასტილია-ლა მანჩას და ანდალუსიის საზღვარს, სიერა მორენას. აქ იპოვიან ძველ პატარა ჩემოდანს, სადაც აღმოჩნდება წერილი, რომელშიც აღწერილია ვინმე კარდენიოს ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. კარდენიოსა და ლუსინდას, დონ ფერნანდოსა და დოროტეას სიყვარულის ამბები ჩაქსოვილია დონ კიხოტესა და სანჩოს ფათერაკების აღწერაში (I, 23-36).

აქვე გავიხსენოთ, რომ დონ კიხოტეს პირველი წიგნი ინგლისურად ითარგმნა ტომას შელტონის (Thomas Shelton) მიერ 1612 წელს. მომდევნო წელს ლონდონის თეატრში დაიდგა კომედია *კარდენიოს ამბავი* (*The history of Cardenio*). სამწუხაროდ, ეს ნაწარმოები დაკარგულია და მისი შინაარსი უცნობია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ შექსპირმა და ფლეტჩერმა თავიანთ კომედიაში გამოიყენეს სერვანტესის რომანის ეპიზოდიური ორი შეყვარებული წყვილის შესახებ.

ჩართულ ნოველებში ასევე გვხვდება პაროდია რომანებზე, რომლებშიც აღწერილია ანდალუსიის არაბთა ცხოვრება (არაბი თავადის ასულის ზორაიდას თავგადასავალი (I,39-41) და კურტუაზული რომანის პაროდია (დონა კლარას და დონ ლუისის ამბავი (I,44).

სანჩო, რომელიც აქამდე სქემატურად იყო წარმოდგენილი, იცვლება, უფრო და უფრო საინტერესო ხდება, მისი ენობრივი რეგისტრი მდიდრდება. იგი რეალურ სივრცეში არსებობს, მაგრამ ნელ-ნელა

ექვევა რაინდის გავლენის ქვეშ და ჩაერთვება დონ კიხოტეს რეალობის გარდაქმნის თამაშში. სხვა მოქმედ პირთა მსგავსად, ისიც ამბებს ჰყვება, მაგალითად, ამბავს, რომლის მოქმედი პირები არიან ერთი ექსტრემადურელი მწყემსი, ვინმე ლოპე რუისი და მწყემსი ქალი, სახელად ტორალბა. სანჩო აკვირდება რაინდს და მოულოდნელად მას მწუხარე სახის რაინდს უწოდებს, რასაც დონ კიხოტე კმაყოფილების გრძნობით მიიღებს, რადგან „განგებამ... საჭიროდ მიიჩნია, რომ უწინდელ რაინდთა მსგავსად,... მასაც რაიმე მეტსახელი დაერქვა.“ (I, 19)

პირველი წიგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია ფათერაკების მაძიებელთა, დონ კიხოტეს და სანჩოს, შეხვედრა კატორღელებთან. ამ ამბავს თავის „ტკბილხმოვანსა და თავშესაქცევ თხზულებაში“ არაბი და ლამანჩელი მწერალი, სიდ ჰამეტ ბენენხელი მოგვითხრობს XXII თავში. ერთ-ერთი კატორღელი, რომელსაც „უფრო მეტი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ვიდრე ყველა დანარჩენ კატორღელს ერთად“, სახელად ხინეს დე პასამონტიე, თავისივე ბიოგრაფიის ავტორია. მას თავისი თავგადასავალი აქვს აღწერილი და ისე მშვენივრად, რომ განთქმული ლასარილიო ტორმესელის ცხოვრება და ყველა სხვა წიგნი, „რაც კი ამ თემაზე დაუწერიათ ან დაწერენ, მასთან შედარებით ჩირადაც არ ღირს... მასში მხოლოდ სიმართლეა აღწერილი, თანაც, ისე მოხდენილად და მომხიბლავად, რომ ვერავითარი გამონაგონი ვერ შეედრება.“ დონ კიხოტეს კითხვაზე, რა სათაური აქვს წიგნს და დასრულებულია თუ არა იგი, ხინესი გააკვირვებით პასუხობს: „როგორ დავამ-

თავრებდი... თუკი ჩემი სიცოცხლე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა?" (I, XXII)

დონ კიხოტეს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მკვლევრის, მარტინ დე რიკერის აზრით (Riquer 2015), ხინეს დე პასამონტე არ არის ფიქციური პერსონაჟი. იგი ერთადერთი მოქმედი პირია რომანში, რომლის პროტოტიპიც რეალურად არსებობდა. ეს ყოფილა ახალგაზრდა არაგონელი, ხერონიმო დე პასამონტე, რომელსაც სერვანტესთან ერთად უმსახურიან ჯარში და მასთან ერთად მიუღია მონაწილეობა ლეპანტოს ბრძოლაში. ხერონიმო ტყვედ ჩავარდნია ხელში ოსმალებს და 18 წელი გაუტარებია ტყვეობაში. პასამონტე მართლაც ყოფილა ავტორი ავტობიოგრაფიისა სათაურით *ხერონიმო დე პასამონტეს ცხოვრება და თავგადასავალი*. სერვანტესმა იგი თავის რომანში გადმოიტანა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით მამაცი ჯარისკაცი აქცია გაიძვერა, თავზეხელაღებულ, ბოროტ კატორღელად. პერსონაჟი ხინეს დე პასამონტე მოგვიანებით ისევ გამოჩნდება რომანის მომდევნო ნაწილში, სადაც იქცევა მასევე პედროდ, თოჯინების თეატრის პატრონად (II, 25-26). მარტინ დე რიკერი ვარაუდობს, რომ შეურაცხყოფილი სერვანტესის ირონიითა და შურისძიებით შეპყრობილი ხერონიმო დე პასამონტე აპოკრიფული დონ კიხოტეს ავტორია.

კატორღელებთან შეხვედრის შემდეგ დონ კიხოტე და სანჩო უნდა დაშორებულიყვნენ ერთმანეთს. რაინდმა მოისურვა, მარტოდ დარჩენილიყო სიერა მორენაში და ცოდვები მოენანიებინა, როგორც ეს მოგზაურ რაინდებს სჩვევიათ, ხოლო სანჩოს დაავალა, უმაღვე წასულიყო სოფელ ტობოსოში და სტუმ-

რებოდა ახალგაზრდა ქალს, აღდონსა ლორენსოს, რომელიც დონ კიხოტეს სულ ორჯერ შეხვედრია, მაგრამ თავის ოცნებებში დულსინეად დაესახა. სანჩოს ქალისთვის წერილი უნდა მიეტანა და მოეთხრო მისთვის რაინდის გმირული საქმეები. ეს ერთადერთი ეპიზოდია რომანში, რომელშიც რაინდი ახსენებს დულსინეას ნამდვილ სახელს.

ეს ფანტასმაგორიული ეპიზოდი ვირტუოზულად არის დაწერილი და XXI საუკუნის მკითხველს აღფრთოვანებაში მოიყვანს.

რაკი ქალაღი არ გაგვანია, ურიგო არ იქნებოდა, ჩვენი წინაპრებისთვის მიგვებაძა და ხის ფოთლებსა თუ ცვილის ფირფიტებზე დაგვეწერა, თუმცა აქ ცვილის ფირფიტების შოვნა არანაკლებ ძნელია, ვიდრე ქალაღისა. მაგრამ, მოიცა, ეს რა კარგი რამ გამახსენდა,- მშვენიერი საწერი ქალაღი აღმოვაჩინე: იმ უბის წიგნაკიდან, კარდენიომ რომ დაკარგა, ფურცელს ამოვხვევ და ზედ დავწერ, შენ კი პირველივე სოფელში ჩასვლისას, სკოლის მასწავლებელს, ან, თუ იქ მასწავლებელი არა ჰყავთ, — მაშინ მნათეს კობტა და ლამაზი ხელით ეტრატზე გადაატანინებ, მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეს და მწერლებს არ მისცე, — იმათ ბატიფეხურს თვით ეშმაკიც კი ვერ გაარჩევს. (I, 25)

ამ სიტყვებით, დონ კიხოტემ ამოიღო უბის წიგნაკი და „დინჯად შეუდგა წერილის წერას“. წერილის წერა დაამთავრა და სანჩოს ხმამაღლა წაუკითხა, რათა მას დაემახსოვრებინა ზეპირად იმ შემთხვევისთვის, თუ წერილს დაკარგავდა.

სანჩო გაემგზავრა ტობოსოსკენ და მეორე დღეს მიადგა ფუნდუკს, სადაც მოულოდნელად შეხვდა მღვდელსა და დალაქს, დონ კიხოტეს მეგობრებს.

ისინი დონ კიხოტეს ეძებდნენ, რათა ფათერაკები-
დან ეხსნათ და სახლში დაებრუნებინათ იგი. სანჩოშ
უამბო მათ, რა გადახდა თავს რაინდს და რა დაევა-
ლებინა მისთვის ტობოსოში. წერილის ჩვენებაც მო-
ისურვა,

უბეში ჩაიყო ხელი, რომ წერილი ამოელო,
მერე კი ჯიბეში მოიქექა, მაგრამ... ვერსად მიაგ-
ნო და ვერც მიაგნებდა თვით დღევანდლამდისაც
რომ ეძებნა, ვინაიდან დონ კიხოტეს წერილის მი-
ცემა დავიწყნოდა, მას კი — გამორთმევა... (I, 26)

აქ წერილის ეპიზოდი დროებით წყდება და
მკითხველი ისევ უბრუნდება წინამორბედ თავებში
მოთხრობილ ამბავს შეყვარებული კარდენიოსა და
დოროთეას შესახებ. ხოლო დონ კიხოტეს და სანჩოს
საუბარი წერილზე გრძელდება XXX თავის ბოლოს
და XXXI თავში. დონ კიხოტე სანჩოს სთხოვს, დაწვ-
რილებით მოუყვეს, როგორ შეხვდა მას დულსინეა,
რას აკეთებდა იგი და როგორ მოეწონა მისი წერილი:

მითხარი: სად, როდის და რანაირ ვითარებაში
ნახე დულსინეა? რას აკეთებდა? რა უთხარი? რა
გიპასუხა? რა ეწერა სახეზე, შენს წერილს რომ
კითხულობდა? ვის გადააწერინე? მოკლედ, ყვე-
ლაფერი მითხარი, რასაც ამ შემთხვევაში საჭი-
როდ დაინახავ, ნურც რასმე მიუმატებ იმ მიზნით,
რომ უფრო გამახარო და, რაც მთავარია, ნურც
რას დააკლებ, თუ არ გინდა რომ მთელი სიხარუ-
ლი ჩაშშხამდეს. (I, XXX)

სანჩოს პასუხი სრულიად მოულოდნელია: „ბა-
ტონო ჩემო, — მიუგო სანჩომ, — მართალი გითხ-
რათ, არავისთვის არ გადამიწერინებია, იმიტომ,
რომ არავითარი წერილი არ იყო.“ ამაზე რაინდმა,

რომელსაც ეს ამბავი სრულიადაც არ გაკვირვებია, მშვიდად უპასუხა, რომ სანჩო მართალს ამბობდა და მისი წასვლის შემდეგ ორი დღეც არ ყოფილა გასული, როცა მას თავის ჯიბეში უპოვია წერილი. სანჩომ დონ კიხოტე დაამშვიდა და უამბო, რომ წერილი ერთი მნათესავის ეკარნახა და იმასაც სიტყვასიტყვით ჩაეწერა ყველაფერი.

ამ საუბარს მოსდევს ვრცელი, კომიკური დიალოგი, რომელშიც ორი მოქმედი პირი, დონ კიხოტე და სანჩო, საუბრობენ მესამე, არარსებულ მოქმედ პირზე, დულსინეაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არც ერთხელ არ გამოჩენილა სცენაზე, მეტად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რომანში. ორი თანამოსაუბრე ერთ, კონკრეტულ ქალს ხედავს გაორმაგებული ოპტიკით. დონ კიხოტე თავის წარმოსახვაში ხატავს, როგორ უნდა შეხვედროდა დულსინეა მის წერილს, სანჩო თანხმდება თამაშის ამგვარ წესებზე და ჰყვება, როგორი უნდა ყოფილიყო დულსინეა და რას იტყოდა წერილისა და შეყვარებული რაინდის შესახებ, მართლა რომ ეარსება და მართლა რომ შეხვედროდა მას ტობოსოში.

თქვენი წერილისთვის თვალის არ გადაუვლია, — მიუგო სანჩომ, — ვინაიდან, როგორც თვითონვე ბრძანა, არც წერა სცოდნია და არც კითხვა. აიღო და ნაკუწ-ნაკუწ აქცია, ალბათ, იმისი შიშით, ვაითუ ვინმემ წაიკითხოს და ჩემი საიდუმლო გაიგოსო. (XXXI)

ამის შემდეგ დონ კიხოტე და სანჩო აგრძელებენ საუბარს და მშვიდად გადადიან სულ სხვა თემაზე.

დონ კიხოტე და სანჩო ისევ ფუნდუკს მიადგებიან. მათ მეფუნდუკის, მისი ოჯახის და მსახური

მარიტორნესის გარდა, სხვა მგზავრებიც დახვდნენ, მათ შორის დონ კიხოტეს საქმენელად წამოსული მღვდელი და დალაქი. ყველანი დაღლილ-დაქანცული დონ კიხოტეს გარდა, სუფრას მოუსხდებიან და სადილის დროს სხვადასხვა თემაზე საუბრობენ — დონ კიხოტესა და სანჩოს თავგადასავალზე, მსჯელობენ სარაინდო რომანებზე. მეფუნდუკე აჩვენებს მღვდელს სამ სარაინდო რომანს და „კობტა ხელით ნაწერ რვეულს“, სათაურით „უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი“, რომელსაც მეფუნდუკის თხოვნით, მღვდელი ხმამალლა კითხულობს (I, 33-35).

ეს არის ერთადერთი ჩართული „ლიტერატურული“ ნოველა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს დონ კიხოტეს თავგადასავალთან. ამ სასიყვარულო შინაარსის მქონე ნოველის მოქმედება ვითარდება ერთი საუკუნით ადრე იტალიაში, „ტოსკანის პროვინციის მდიდარსა და დიდებულ ქალაქ ფლორენციაში“. მარტინ დე რიკერის აზრით, ეს არის იმიტაცია ცნობილი იტალიელი პოეტის, ლუდოვიკო არიოსტოს სახელგანთქმული პოემის *შმაგი ორლანდოს XLIII სიმღერისა* (Ariosto. *Orlando furioso*).

რომანის მეორე ნაწილში ბაკალავრი სანსონ კარასკო ახსენებს ამ ნოველას, როდესაც დონ კიხოტეს უყვება, რა აზრისა არიან მკითხველები რომანის პირველ ნაწილზე:

როგორც ამბობენ, ამ ისტორიის ერთ-ერთი არსებითი ნაკლი გახლავთ, — თქვა ბაკალავრმა, — რომ ავტორმა შიგ ჩართო „უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი“; არა, თავისთავად მოთხრობას კი ვერ დაიწუნებ, მაგრამ ყოვლად უადგილო ადგილასაა ჩაჩხერილი და არავეითარი კავშირი არა

აქვს მისი მოწყალების — ბატონ დონ კიხოტეს ისტორიასთან. (II, 3)

კიდევ ერთი ნოველა გადაწევს დონ კიხოტეს და სანჩოს ამბავს მეორე პლანზე. ამჯერად ეს არ არის სენტიმენტალური ისტორია ორი შეყვარებულის პერიპეტეიების შესახებ. ალჟირში ტყვედნამყოფი, სახელად რუი პერეს დე ვიედმა შეუერთდება ფუნდუკში მყოფ საზოგადოებას და თავის ამბავს ჰყვება, სახელდობრ, როგორ მიუღია მონაწილეობა ლეპანტოს ბრძოლაში, როგორ ჩავარდნილა ტყვედ, რა მძიმე წლები გაუტარებია ალჟირში. ეს ნოველა მეტად საინტერესოა თავისი დოკუმენტური ცნობებით იმდროინდელ ალჟირზე, მეკობრეებზე, ცხოვრებაზე ტვეობაში, მუსლიმთა ცხოვრების წესსა და ზნე-ჩვეულებებზე.

პირველი ნაწილის ბოლო ჩართული ნოველა, ამბავი ლეანდრასა და ეუხენიოსი, არის პასტორალური ჟანრის ტექსტი. ყველა ჩართული ნოველა, ერთის გარდა, თემატურად დაკავშირებულია მთავარ მოქმედებასთან. მათ გმირებს აკვიატებული აზრები აქვთ, ისინი გმირულად იქცევიან, შეპყრობილი არიან სიყვარულითა და ვნებით და იბნევიან მათ მიერ შექმნილ ილუზორულსა და რეალურ სამყაროში.

პირველი ნაწილი სრულდება „დაღონებული და ბედისაგან დევნილი“ დონ კიხოტეს სახლში დაბრუნებით, ავადმყოფობითა და გარდაცვალებით. მაგრამ მთხრობელი მკითხველს აიძულებს, რომ მომავალში შესაძლოა, მიაგნოს დონ კიხოტეს მესამე გამგზავრების აღწერას.

როგორც უკვე ვახსენეთ, რომანის ორ ნაწილს 10 წელი ამორებს ერთმანეთისგან. სერვანტესის წერის მანერა იცვლება. თუმცა ეს არ არღვევს ნაწარმოების მთლიანობას, რადგან დონ კიხოტეს მეორე ნაწილი „იმავე ოსტატის მიერაა გამოჭრილი და იმავე ქსოვილისაგან შეკერილი, ვისგანაც გამოიჭრა და რისგანაც შეიკერა პირველი ნაწილიც“ (II, პროლოგი).

მეორე ნაწილში აღწერილია დონ კიხოტეს მესამე მოგზაურობა. ისევე, როგორც პირველ წიგნში – სახლიდან გასვლა, გზაში გაჩერება, შეხვედრა და სახლში დაბრუნება. განსხვავება ის არის, რომ თუ პირველ წიგნში დონ კიხოტემ არ იცოდა, სად მიიყვანდა ბედი და ერთგული როსინანტე, მეორე წიგნში თავიდანვე დაგეგმილი აქვს მარშრუტი. დონ კიხოტესა და სანჩოს თავგადასავალი გრძელდება, მაგრამ იმისთვის, რომ არ განმეორდეს უკვე ნაცნობი სქემა, სერვანტესი რამდენიმე მნიშვნელოვან ახალ მხატვრულ ხერხს მიმართავს. ერთ-ერთი თვალშისაცემი სიახლე არის ის, რომ მეორე ნაწილის მოქმედ პირებს წაკითხული აქვთ პირველი ნაწილი. დონ კიხოტეს სანახავად მოსული სანჩო გაკვირვებული უყვება მას, რომ „მათი თავგადასავალი წიგნად დაუსტამბავთ, სათაურად კი *მახვილგონიერი იდალგო*

დონ კიხოტ ლამანჩელი ჰქვია: წიგნის ავტორია ვინ-
მე სიდ ჰამეტ ბენენხელი. მესამე თავი, „სადაც მოთხ-
რობილია, თუ რა სასაცილო საუბარი გაიმართა დონ
კიხოტეს, სანჩო პანსასა და ბაკალავრ სანსონ კარას-
კოს შორის“; სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი „რე-
ცენზია“ წიგნის პირველ ნაწილზე. სანსონ კარასომ
ისიც იცის, რა ტირაჟით გამოვიდა წიგნი და როგორ
მიიღო იგი მკითხველმა:

თორმეტი ათასი ცალი მაინც უნდა იყოს დას-
ტამბული, თუ არა გჯერათ, დაეკითხეთ პორტუ-
გალიას, ბარსელონას და ვალენსიას, სადაც ის
დაიბეჭდა, ახლა კი, როგორც ამბობენ, მგონი,
ამსტერდამშიაც უპირებენ გამოქვეყნებას. დარწ-
მუნებული ვარ, მალე საერთოდ აღარ დარჩება
არც ერთი ხალხი, თავის მშობლიურ ენაზე რომ არ
ეთარგმონს იგი....

ერთი ეს მიზრძანეთ, ბატონო ბაკალავრო: ჩემი
საგმირო საქმეებიდან მაინც რომელი უფრო მეტა-
დაა შექებული ამ დასტამბულ ისტორიაში?

რა მოგახსენოთ, — მიუგო ბაკალავრმა, ხომ
იცით, ხალხი ჭრელია და გემოვნებაც ათასნაირი
არსებობს: ვის ქარის წისქვილებთან შებმა უფრო
მოსწონს... , ვის — სათელ ჩარხებს რომ გადაეყ-
რეთ, ის ფათერაკი; ვის კიდევ — იმ ორი ლაშქ-
რის აღწერა, სინამდვილეში ცხვრის ორი ფარა
რომ გამოდგა; ...ზოგი ამტკიცებს კატორღელების
განთავისუფლების ამბავს არაფერი შეედრებაო....
საქმე ისაა... რომ დაბეჭდილ წიგნებს ყოველთვის
გულდასმით ჩხრეკენ და ამიტომ მათი ნაკლიც ად-
ვილი შესამჩნევია; რაც უფრო დიდი სახელი აქვს
ავტორს, მით უფრო გულმოდგინედ იქექებიან მის
ქმნილებებში. (II, 3)

სერვანტესი ბუნებრივად და ვირტუოზულად იყენებს თავის პირველ წიგნს მეორე წიგნის მხატვრულ ელემენტად. მასზე მსჯელობს მრავალი პერსონაჟი. მას იმოწმებენ, აფასებენ, აკრიტიკებენ, აქებენ, მის შეცდომებზე მიუთითებენ და დონ კიხოტეს გაგრძელებას მოელოიან.

დონ კიხოტემ და სანჩომ იციან, რომ ისინი არსებობენ მკითხველთა წარმოსახვაში, რომლებსაც არა მხოლოდ მათი „ნამდვილი“ თავგადასავლის შესახებ აქვთ წაკითხული წიგნი, არამედ უზურპატორ აველიანედას მიერ დაწერილი რომანის „ყალბი“ გაგრძელებაც. სერვანტესი ამ გარემოებას ოსტატურად იყენებს, რათა შეცვალოს თხრობის პერსპექტივა: პერსონაჟები ავტორისაგან დამოუკიდებელ არსებობას იწყებენ, თითქოს „გამოდიან“ თხრობიდან და შორიდან აფასებენ თავიანთ თავგადასავალს. მთავარი მოქმედი პირები, დონ კიხოტე და სანჩო მესამედ ტოვებენ სახლს და ისევ გზას გაუდგებიან. ისევ ბევრ პერსონაჟს ხვდებიან, რომლებიც უმაღვე ცნობენ მათ და ეკითხებიან დეტალებს, ან აზრს გამოთქვამენ მათი თავგადასავლის შესახებ. დონ კიხოტე და სანჩო ამაყობენ იმით, რომ მათი გმირული თავგადასავალი საქვეყნოდ არის ცნობილი, და დიდ ინტერესს იჩენენ იმის მიმართ, როგორი შთაბეჭდილება დატოვებს მკითხველებზე. ამის გამო ისინი თვითონაც ერთვებიან ლიტერატურულ კამათში. ამით სერვანტესი ვირტუოზულად წარმოაჩინს თავისი დროის მკითხველთა (el publico lector) ლიტერატურულ გემოვნებას, კრიტიკის მიმართულებას, დამკვიდრებულ აზრს ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.

პირველ წიგნში დონ კიხოტე თავად ქმნის ილუზორულ სამყაროს:

...ერთი იქეთ გაიხედე, ჩემო მეგობარო სანჩო
პანსა, იმ საშინელი გოლიათების ხროვას თუ ხედავ?

...რას ბრძანებთ, თქვენო მოწყალებავ, —
შეიცხადა სანჩომ — ეგენი გოლიათები კი არა, ქა-
რის წისქვილებია... (I, VIII)

მეორე წიგნში სიტუაცია რადიკალურად იცვლება. პირველ წიგნში დონ კიხოტე უღიმღამო, უშნო რეალობას უპირისპირებდა იდეალურ, გმირულ და კეთილშობილურ სამყაროს. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი დაუძინებელი მტერი, ვერაგი ჯადოქარი იყო, სანჩო კი ცდილობდა მისთვის თვალები აეხილა და დაერწმუნებინა, რომ ცდებოდა.

მეორე წიგნში როლები შეცვლილია. დონ კიხოტე ხედავს სინამდვილეს ისეთს, როგორიც იგი არის. მას აღარ ეჩვენება, რომ ფუნდუკი სასახლეა, ცხვრები მეომრები არიან და ქარის წისქვილები — გოლიათები. სანჩო კი არწმუნებს მას, რომ ცდება. მესამე გამგზავრების წინ დონ კიხოტემ აუცილებლად უნდა ნახოს დულსინეა, რათა ნებართვა სთხოვოს და შევედროს მას, რომ გზა დაულოცოს. დულსინეას სანახავად ისინი, უწინარეს ყოვლისა, მიემგზავრებიან ტობოსოში. როდესაც შენიშნავენ მათკენ მომავალ სამ გლეხის ქალს, დონ კიხოტე ხედავს სინამდვილეს — „უშნო, პირმრგვალ და ცხვირპაჭუა გომბიოს“ (II, 10). სანჩო კი არწმუნებს თავის ბატონს, რომ მის წინაშეა მშვენიერი დულსინეა. ამ უცნაურობას — სანჩოზე ბოროტმა ჯადოქარმა ვერ იმოქმედა და დულსინეას მშვენება ვერ დაჩრდილა მის თვალში, თავად კი ვერ ხედავს დულსინეას სიმშვენიერეს — დონ კიხოტე ისევ აბრალებს ჯადოქარს, რომელმაც ჯერ მისი ბიბლიოთეკა გააქრო და ახლა რეალობას ამახინჯებს.

ირონია იმაში მდგომარეობს, რომ რეალობა მართლაც წარმოუდგება დონ კიხოტეს არაჩვეულებრივად და ფანტასტიკურად.

როდესაც სანჩო უყვებოდა დონ კიხოტეს, რაოდენ მშვენიერია დულისინია, გზაზე უცნაური ფიგურებით დატვირთული ფორანი გამოჩნდა. მეფორნე ჯოჯოხეთის მოციქულს ჰგავდა, იქვე იყო სიკვდილი, რომელმაც კაცის სახე მიიღო. ცალ მხარეს იმპერატორი ეჯდა, მეორე მხარეს კი ფრთებმოხატული ანგელოზი, სიკვდილის ფერხთით სიყვარულის ღვთაება — კუპიდონი. იქვე ამაყად იჯდა რაინდი, თავზე მუზარადის ნაცვლად ფერადი ფრთებით შემკული ქუდი ეხურა. ამ უცნაურმა, ჭრელმა ბრბომ ჯერ შეაცბუნა დონ კიხოტე, ცოტა ხანში კი მან აღმოაჩინა, რომ მის წინაშე მსახიობთა დასი იყო. შემხვედრი პერსონაჟები თითქოს აჰყვებიან დონ კიხოტეს და სამყაროს უსადაგებენ მის აკვიატებულ აზრებს.

აქამდე ყველა მეგობარი, ნაცნობი თუ შემთხვევით შემხვედრი პერსონაჟი დონ კიხოტეს არწმუნებდა, რომ მოგზაური რაინდები მისი ფანტაზიის ნაყოფია და სინამდვილეში არ არსებობდნენ. სრულიად მოულოდნელად დონ კიხოტემ მოგზაური რაინდი დაინახა. ეს იყო ბაკალავრი სანსონ კარასკო, რომელიც რაინდად გადაიქცა, რათა დონ კიხოტე ბრძოლაში გამოეწვია, დაემარცხებინა და სახლში დაებრუნებინა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ის გარემოება, რომ დონ კიხოტეს და სანჩოს ამბავი ყველასთვის ცნობილი ხდება, მათ თავგადასავალს ახალ ელფერს ანიჭებს. შემთხვევით გაცნობილი პერსონაჟები და მათი მეგობრებიც კი, თვითონ იგონებენ და ქმნიან ისეთ სიტუაციას, რომელიც

რაინდსა და მის მსახურს მისტიფიკაციის და დაცინვის გასართობ ობიექტად აქცევს. 30-57-ე თავებში აღწერილია დონ კიხოტესა და სანჩოს შეხვედრა ჰერცოგთან და მის მეუღლესთან. მათ წაკითხული აქვთ დონ კიხოტე / და როდესაც რაინდსა და სანჩოს შეხვედებიან, გადაწყვეტენ, რომ გართობის მშვენიერი საშუალება მიეცათ და ვერაფერი მოუტანს უფრო დიდ სიამოვნებას, ვიდრე მათთან დონ კიხოტეს და სანჩოს სტუმრობა.

წიგნის მეორე ნაწილში მეორდება პირველი ნაწილის ზოგი მოტივი, რომელიც დაკავშირებულია სანჩოსთან. სანჩოს კუნძულის გამგებლად დანიშვნას და თავგადასავალს ეთმობა 44-53 თავები.

მეორე ნაწილში ნაკლები ეპიზოდია, ნაკლები ჩართული ნოველა, მოქმედება უფრო თანმიმდევრული და კონცენტრირებულია სანჩოსა და დონ კიხოტეს ირგვლივ. დონ კიხოტე ამარცხებს მამაც სარკეთა რაინდს, წარმატებით აგვირგვინებს ფათერაკს ლომებთან, იხილავს განსაცვიფრებელ რამეს მონტესინოს უძირო მღვიმეში, მიემგზავრება ბარსელონაში. მაგრამ თეთრი მთვარის რაინდი დაამარცხებს მას, რის შემდეგაც დონ კიხოტე სახლში ბრუნდება. შინ დაბრუნებულ, დაღლილ და დაქანცულ დონ კიხოტეს უეცრად თვალები აეხილება. იგი აღიარებს თავისი მეგობრების წინაშე, რომ დონ კიხოტე ლამანჩელი კი არა, ალონსო კიხანაა, რომ მას სამუდამოდ შესძულდა სარაინდო რომანები, რომელთა კითხვამ საშინელ დღეში ჩააგდო. დონ კიხოტე მთელ თავის ქონებას თავის დისწულს, ანტონია კიხანას უტოვებს იმ პირობით, რომ იგი არ გაჰყვება ცოლად სარაინდო რომანებით გატაცებულ კაცს.

რატომ უნდა ნაიკითხოს XXI საუკუნის მკითხველმა XVII ს. დასაწყისში დანერვილი დღე კიხოტეს ათას ორასზე მეტი გვერდი?

იმიტომ, რომ ცხენზე ამხედრებული, შეკოწიწებული აბჯარასხმული, „სახელოვანი და კეთილშობილი“ დონ კიხოტე ლამანჩელის თავგადასავალმა არა მარტო წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მრავალ მკითხველზე, არამედ მეტად მნიშვნელოვანი კვალი დაატყო ლიტერატურის ისტორიას.

რომანში ყველა ინგრედიენტია, რითაც შეიძლება მოიხიბლოს მკითხველი: მთავარი კომიკური მოქმედი პირი, მომხიბვლელი თავისი დაუოკებელი ფანტაზიითა და აკვიატებული მისწრაფებით, განაჯადოვოს დამახინჯებული „რეალური“ სამყარო, 600-ზე მეტი პერსონაჟი – ესპანეთის „ჭრელი“ მოსახლეობის თითქმის ყველა სოციალური წრის წარმომადგენელი, მათი ცხოვრება, საქმიანობა, გადაადგილება, მოვლენათა შეფასება, ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობა ესპანეთის გზებზე, მოულოდნელი შეხვედრები, გაუთავებელი საუბრები სხვადასხვა თემზე. და ეს ყველაფერი აღწერილია მოქნილი და

შეუდარებელი, იუმორით აღსავსე მშვენიერი ენით. მართალია, დონ კიხოტე სინანულით მიიჩნევს, რომ

გინდ ერთი ენიდან მეორე ენაზე გითარგმნია და გინდ ფლამანდიური ხალიჩის უკულმა პირისთვის გიყურებია: ნახატები თითქოს იგივეა, მაგრამ ნასკვთა სიმრავლით ფერწასული, მიმქრალი და გაცრეცილი-გახუნებული; სადღაა ის სიგლუვე, სიცინცხალე და სინატიფე, ან ის ხასხასა ფერები, რაც ასე ამშვენებს წაღმა პირს და რასაც ასე ხარბად ჭკრეტს თვალი? (II,62).

მაგრამ რომანის თარგმანიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე.

– აგერ, იმ რაინდს ხომ ხედავ სანჩო, ჩალისფერი აბჯრით მოსილს, ფარზე რომ ქალწულის ფერხით გაწოლილი ოქროსგვირგვინოსანი ლომი ახატია? ეს ძღვევამოსილი ლაურკალკოა, პუენტი დელ პლატას მფლობელი. აი ის, ოქროსყვავილებიან იარაღში რომ ზის და ფარის ლაჟვარდოვან ფონზე ვერცხლის სამი გვირგვინი აქვს გამოსახული, მრისხანე მიკოკოლემბო გახლავს, კიროსიის დიდი ჰერცოგი, მის მხარმარჯვნივ, გოლიათური აღნაგობის რაინდი რომ დგას, ქედუხრელი ბრანდობარბარან დე ბოლიჩეა, სამი არაბეთის მკყრობელი.....

– ეშმაკებმა დალახვროს, სენიორ, თუ მაგ თქვენ მიერ ჩამოთვლილ რაინდებს და გოლიათებს ვხედავდე სადმე. გუშინდელი მოჩვენებების არ იყოს, იქნებ, ესენიც აჩრდილები არიან და ყოველივე ეს ჯადოქრობაა?

– ხომ არ შეიშალე, სანჩო? – შეუტია დონ კიხოტემ, – ნუთუ ცხენების ჭიხვინი, ან დაფდაფთა ცემა არ გესმის?

– ცხვარ-ბატკნის ბლავილს მეტი არა მესმის
რა, – მიუგო სანჩომ. (I, 18)

სერვანტესს არაფერი რადიკალურად ახალი არ გამოუგონია, მაგრამ (ნებისით თუ უნებლიეთ) აღმოაჩინა, რომ ახალს ძველი ბადებს, რომ სიახლე შეიძლება შექმნა ნაცნობი ფორმების უსასრულო კომბინაციებით და ამით მოულოდნელ ეფექტს მიაღწიო. მის რომანში ისმის ყველა აქამდე არსებული პროზაული ნაწარმოების ექო და ეყრება საფუძველი მომავალ უსასრულოდ მრავალფეროვან ნარატიულ ფორმებს. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ აღწერს რომანს ჰენრი ჯეიმსი –

„თავისუფალი, მოშვებული ურჩხული“ (loose, baggy monster) რომ მივხვდეთ, რომ იმას, რაც სერვანტესმა შექმნა, არ გააჩნია მყარი ფორმა. ჯეიმსი გულისხმობდა რომანის უნარს, შეითავსოს კომპონენტთა თითქოს უსაზღვრო რაოდენობა და მიიღოს მრავალი გაუთვალისწინებელი ფორმა. დავფიქრდეთ იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ნაწარმოებებს შორის – დოსტოვესკის დანაშაული და სასჯელი და ვირჯინია ვულფის შუქურისაკენ, ან სტენდალის წითელი და შავი და გაბრიელ გარსია მარკესის მარტობის 100 წელიწადი. ოთხივე რომანია, მაგრამ მკაფიოდ განსხვავებული, შეუთავსებელიც კი თავიანთი სტრუქტურით... რომანი პოლიმორფული ჟანრია, თავიდანვე თანდაყოლილი უსაზღვრო პოტენციალის მქონე. (Cascardi 2008, 59)

ვახსენოთ მხოლოდ რამდენიმე მხატვრული ხერხი, რომელიც სერვანტესმა გამოიყენა. ლიტერატურულ პაროდიაში გაერთიანებული და გამოყენებულია XVII ს. არსებული პოპულარული სარაინდო,

პასტორალური და პიკარესკული რომანების სტრუქტურული ხერხები.

პიკარესკული რომანის მსგავსად დონ კიხოტე გასართობ წიგნად აღიქმებოდა. როგორც პიკარესკული რომანის შემთხვევაში, ისე სერვანტესის რომანშიც, მკითხველი თავალს ადევნებდა დონ კიხოტეს ცხოვრების ეპიზოდებს გარკვეული ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე. პიკაროს მსგავსად, დონ კიხოტე ღარიბია, მუდამ გზაშია და იმასაც უხდება ფიქრი იმაზე, სად გაატაროს ღამე და სად ივახშმოს. მაგრამ პიკაროსგან განსხვავებით, დონ კიხოტე შეცვლის თავის ცხოვრებას, თავის წარმოსახვაში იქცევა სარაინდო რომანების კეთილშობილ, თავაზიან და განათლებულ პერსონაჟად, დახვეწილი და ამაღლებული მეტყველებით, პერსონაჟად, რომლისთვისაც მთავარი გმირობაა.

თუ პიკარესკული რომანის მთავარი პერსონაჟი პირველ პირში ჰყვება თავისი ცხოვრების ეპიზოდებს, მთხრობელი და ხედვის წერტილი ერთია, სერვანტესის რომანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა ბევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახული ერთი და იგივე მოვლენა, ეპიზოდი, ნივთი, ადამიანი. დონ კიხოტეში არ არსებობს თხრობის ერთი პერსპექტივა, ტექსტში იმდენი პერსპექტივა გვხვდება, რამდენი პერსონაჟიცაა. დონ კიხოტე წაკითხული წიგნების სამყაროში ცხოვრობს და ამ სამყაროს თავის წარმოსახვაში ქმნის და ხედავს. სანჩოსა და დანარჩენ მრავალ პერსონაჟს, ჩართული ნოველების მოქმედ პირებს – ყველას განსხვავებული აზრი აქვთ ერთსა და იმავე საგანზე, ისინი თავიანთი გადასახედიდან აფასებენ და ჰყვებიან

ამბებს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მკითხველთა თითოეული ახალი თაობა თავისას აღმოაჩენს სერვანტესის რომანში. ამის ერთ-ერთი მაგალითია მეორე წიგნის მეჩვიდმეტე თავი, „სადაც გადმოცემულია ფათერაკი ლომებთან, რომელიც ჩვენმა რაინდმა წარმატებით დააგვირგვინა“: დონ კიხოტესა და სანჩოს ეტლი მიუახლოვდა. მეეტლე ჯორებს მოერეკებოდა. დონ კიხოტეს შეკითხვაზე, სად მიდიოდნენ, მეეტლემ უპასუხა, რომ ორი დიდებული ლომი მიჰყავდათ, რომლებსაც ორანის გუბერნატორი საჩუქრად უგზავნიდა მეფეს. დონ კიხოტე დაინტერესდა, როგორი იყო ლომი:

– უფრო დიდი აღარ იქნება, – მიუგო მეეტლის გვერდით მჯდომარე კაცმა, – ამხელა ლომები აფრიკიდან ჯერ არ ჩამოუყვანიათ ესპანეთში.... საშინლად დამშეულები არიან, რადგან დილას აქეთ არაფერი უჭამიათ. ისე რომ, გზა მოგვეციტ... (II, 17)

დონ კიხოტე, რა თქმა უნდა, ლომებს არ შეუშინდა და მეეტლეს უბრძანა, ლომები გამოეშვა გალიიდან. მიუხედავად იმისა, რომ სანჩო და მეეტლე წინააღმდეგობას უწევდნენ, დონ კიხოტემ თავისი გაიტანა და გალიის კარები გააღებინა. დონ კიხოტემ საომარი გეგმა დააწყო და გადაწყვიტა, ქვეითად შებმოდა ლომებს. გალიის კარი გააღეს. „უზარმაზარმა, საზარელმა და თავზარდამცემმა ლომმა“ ხახა დაალო, წელში გაიზნიქა, ნებიერად დაამთქნარა, გალიიდან თავი გამოყო და ნაკვერჩხალივით მოელვარე თვალები მიმოავლო იქაურობას, რაინდს არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ზანტად შებრუნდა და დონ კიხოტეს გავა შეაქცია.

ამ ეპიზოდის რამდენიმე ვერსია არსებობს – ამბავს აღწერს მთხრობელი, რა თქმა უნდა, კომენტარს უკეთებს დონ კიხოტე, სანჩოსაც აქვს თავისი ვერსია: „მომკალით, თუ ჩემს ბატონს ის წყეული ლომები დაემარცხებინოს;“ მეეტლემ კი დაწვრილებით და „მეტისმეტი გაზვიადებით უამბო ყველას დონ კიხოტეს უმაგალითო სიმამაცის ამბავი.“ ლომებს რომ შეძლებოდათ ლაპარაკი, ისინიც მოჰყვებიდნენ თავიანთ სრულიად განსხვავებულ ვერსიას. მრავალი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც დაბნეულმა მკითხველმა აღარ იცის, ვის დაუჯეროს, რომელი ამბავია ნამდვილი და რომელი — გამოგონილი, და თავის ინტერპრეტაციას იგონებს. რომანის ერთ-ერთ მკვლევარს, ედვარდ რაილის (Riley 2000) მოჰყავს 6 წერილის მაგალითი მეორე წიგნიდან – დონ კიხოტეს, სანჩოს, ტერეზა პანსას, ჰერცოგის და მისი მეუღლის წერილები, სადაც ძნელი სათქმელია, სად მთავრდება „რეალობა“ და სად იწყება „ფიქცია“: ზოგ შემთხვევაში მთხრობლის, არაბი ავტორის, და პერსონაჟის მიერ მოთხრობილ ერთსა და იმავე ამბავს არაფერი საერთო არ აქვს მომხდარ „რეალურ“ ამბავთან. ასევე გვხვდება ეპიზოდი, რომელშიც პერსონაჟი იწყებს ამბის მოყოლას, მაგრამ არ ასრულებს მას, შემდეგ კი სრულიად სხვა პერსონაჟი იგონებს ამბის გაგრძელებას, ან იწყებს მოყოლას, არ ასრულებს და ამას იმით ხსნის, რომ ადამიანის ამბავი მუდამ დაუსრულებელია, სანამ იგი ცოცხალია.

თუ თხრობა პიკარესკულ რომანების ჟანრს გვაგონებს, სიუჟეტი სარაინდო და პასტორალური რომანების პაროდიული გადამღერებაა. ზოგ შემთხ-

ვევაში პიკარესკული და სარაინდო რომანების ელემენტები ერთიანდება ერთ ეპიზოდში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ხერხია „თხრობა თხრობაში“. რომანის დასაწყისში დონ კიხოტეს მეგობრები და დისწული ათვალეერებენ მის ბიბლიოთეკას და აღმოაჩენენ სერვანტესის რომანს გალატეა. ამის მაგალითები გვხვდება არა მხოლოდ სერვანტესის რომანში, არამედ სახვით ხელოვნებაშიც. გავიხსენოთ ველასკესის განთქმული ფერწერული ნამუშევარი *მენინები* (Las Meninas). შუა საუკუნეების ჰერალდიკაში, გერბზე ათავსებდნენ ხოლმე კიდევ ერთ მინიატურულ გერბს. სიტყვა *abyme* (*abime*) ნიშნავს ფრანგულად „უფსკრულს“; ხოლო ჰერალდიკის ტერმინოლოგიით მასში იგულისხმება გერბის ცენტრი. შუა საუკუნეებში ამ ხერხს უწოდებდნენ *mise en abime*, ამ ტერმინს მხატვრული ნაწარმოების დახასიათებისას XX ს. დასაწყისში პირველად ანდრე ჟიდი გამოიყენებს.

ვინ არის რომანის ავტორი და რამდენად სანდო შეიძლება იყოს იგი – სერვანტესი, მთხრობელი, რომელიც ხან პირველ პირში და ხან მესამე პირში გვიამბობს ლამაზი იდალგოს უცნაურ ამბავს, არაბი ისტორიკოსი, თუ მთარგმნელი? თანამედროვე მკვლევართათვის დიდი თავსატეხია ავტორის პრობლემა.

რამდენი დონ კიხოტეა რომანში? – სამი. პირველი, რომელიც რომანის პირველ ნაწილში „ცხოვრობდა“ და თავისი თავი „შექმნა“, მეორე, რომელიც პირველისგან დამოუკიდებლად 10 წელი არსებობდა აველიანედას აპოკრიფულ დონ კიხოტეს სავსებით რეალურ სამყაროში, და მესამე, „ფიქციური“

რომელიც რომანის მეორე წიგნში „პირველი“ დონ კიხოტეს ამბავს კითხულობს. შეიძლება უადგილოდ მოგერვენოთ, მაგრამ დღევანდელ მკითხველს განა არა ჰყავს „ვირტუალური“ მეგობარი, რომელიც მას თვალთ არ უნახავს და რომლის რეალობაში ეჭვი არ ეპარება.

რამდენად შეიძლება ითქვას, რომ დონ კიხოტე არის რომანი ფიქციაზე, ლიტერატურაზე? – არ ვიცი. ის კი მახსოვს, რომ წავიკითხე, როგორ ითხოვდა ბალზაკი მოეყვანათ ექიმი, მისი ერთ-ერთი რომანის პერსონაჟი, რომელსაც ყველაზე ძალიან ენდობოდა.

ძნელი სათქმელია ვინ, როგორ და რატომ კითხულობს დონ კიხოტეს ჩვენს დროში. მაგრამ ერთი ლამაზი იდალგოს კომიკური ამბავი, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს თავის წარმოსახვაში შექმნა მშვენიერი სამყარო, დაუპირისპირა იგი უშნო რეალობას, შეეცადა, თავისი უინტერესო მონოტონური ცხოვრებისთვის აზრი მიენიჭებინა, ხელახლა „შექმნა“ თავი, ალბათ დღესაც მოხიბლავს და გააცინებს არაერთ მკითხველს. ყველა თუ არა, ბევრი წიგნებით გატაცებული მკითხველი „ორმაგი“ ცხოვრებით ცხოვრობდა და ცხოვრობს დღესაც – ყოველდღიური უინტერესო ჩვეული საქმიანობით დაკავებული და ამავე დროს ფანტაზიებით აღსავსე შინაგანი ცხოვრებით და იცის, რაოდენ გამჭვირვალეა ზღვარი წარმოსახვასა და რეალობას შორის. ლიტერატურის კრიტიკოსები კი განაგრძობენ რომანის „ფარული მაგიის“ კვლევას.

დონ კიხოტე და მკითხველი

საგმირო საქმის წყალობით, იმდენს მივალწე, რომ ჩემს თავგადასავალს, უკვე წიგნად დაწერილს, დაბეჭდილს და თითქმის ყველა ხალხის ენაზე თარგმნილს, გატაცებით კითხულობენ დედამიწის ყველა კუთხეში.

დონ კიხოტე

სერვანტესმა ეს სიტყვები იუმორით დაწერა, მაგრამ მართალი აღმოჩნდა. *დონ კიხოტე* გამოიცა და ითარგმნა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში: XVII საუკუნეში – 60-ჯერ; XVIII საუკუნეში – 150-ჯერ; XIX საუკუნეში – 600-ჯერ, XX საუკუნეში – უფრო მეტჯერ, ვიდრე წინა საუკუნეში (Багнო 1988, 165). დღეს რომანი მკითხველისთვის მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე არის ხელმისაწვდომი. ეს ერთადერთი ნაწარმოებია, რომლის ტირაჟი ბიბლიის ტირაჟს მიუახლოვდა. მსოფლიოში წიგნის 400 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული.

XVII საუკუნეში ესპანელი მკითხველები, რომლებსაც ნაწარმოების ყველა კომიკური ალუზია გასაგები იყო, ძალიან ერთობოდნენ, როდესაც კითხულობდნენ, როგორ არ აკლდებოდა შეურაცხყოფა თვითმარქვია რაინდს. სისასტიკე, სუსტის, დამარცხებულის, ხეიბრის დაცინვა ბუნებრივი და მისაღები

იყო იმდროინდელ ესპანეთში. გაუნათლებელი გლეხი, განათლებული არისტოკრატი და მეფეც კი ერთობოდნენ ხეიბრის დაცინვით. 1562-1700 წლებში ესპანეთის მეფეს ემსახურებოდნენ „ჩვეულებრივი“ მსახურები (criados normales) და ართობდა 120-ზე მეტი ჯუჯა (enano) (თვით ველასკესმა უკვდავყო რამდენიმე ჯუჯა თავისი ფუნჯით).

ესპანეთის ფარგლებს გარეთ დონ კიხოტე პირველად ინგლისელებმა „აღმოაჩინეს“. ტომას შელტონმა რომანი იმ დროისთვის გასაკვირი სისწრაფით — ორმოც დღეში თარგმნა და 1612 წელს (მაშინ სერვანტესი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო) ლონდონის წიგნების მაღაზიაში უკვე იყიდებოდა „ინგლისური“ დონ კიხოტე. პირველ გამოცემას ინგლისში მრავალი ახალი პუბლიკაცია მოჰყვა.

1614 წ. ნაწარმოები ითარგმნა ფრანგულ, 1622 წ. იტალიურ, 1648 წ. გერმანულსა და 1657 წ. ნიდერლანდურ ენებზე. მომდევნო საუკუნეებში რომანი მრავალჯერ ითარგმნა ისევ ინგლისში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში.

დრო გადიოდა და რომანის მკითხველები იცვლებოდნენ. იცვლებოდა მათი გემოვნება, ფასეულობები, ინტერესები და შეფასების კრიტერიუმები. ასი წლის შემდეგ, XVIII ს. ხოსე კადალსომ კომიკური ეპიზოდების და მსუბუქი პაროდის მიღმა ბევრად უფრო ღრმა და ბევრის მთქმელი ნააზრევი დაინახა. მის ნაწარმოებში წერილები მაროკოდან ვკითხულობთ:

ესპანელებს ერთი წიგნი აქვთ, რომელსაც ძალიან აქებენ.... მე ის წავიკითხე და უდავოდ მომეწონა; მაგრამ ეჭვი მტანჯავს, პირდაპირი

მნიშვნელობა ერთია, ნამდვილი კი ძალიან განსხვავებული... ის, რასაც ვკითხულობთ, არის ერთი შეშლილი კაცის ექსტრავაგანტული ქმედებები, რომელსაც სჯერა, რომ არსებობენ გოლიათები, ჯადოქრები და ასე შემდეგ; მაგრამ ის, რაც არის ამის მიღმა, ჩემი რწმენით, ძალიან ღრმა და მნიშვნელოვანია. (Cadalso 1987, წერილი 61)

იუმორში „გახვეული“ ერთი ახირებული ესპანელი იდალგოს თავგადასავალში ინგლისელმა მწერლებმა თხრობის სრულიად ახალი მხატვრული ხერხები აღმოაჩინეს და ახალი ჟანრის, რომანის, უსასრულოდ მდიდარი პოტენციალი ამოიცნეს. გერმანელმა რომანტიკოსებმა და მათი გავლენით რუსმა მწერლებმა კომიკური პერსონაჟის მაგივრად სევდიანი დონ კიხოტე – ფილოსოფოსი, ცხოვრებისეული ტრაგიზმის განსახიერება დაინახეს. ფრანგმა განმანათლებლებმა კი დონ კიხოტეში პოლიტიკური იდეები ამოიკითხეს. ფლობერის სიტყვებით, მან ზეპირად იცოდა დონ კიხოტე მაშინ, როდესაც კითხვა არ იცოდა. ზიგმუნდ ფროიდი ესპანურ ენას სწავლობდა, რათა დონ კიხოტე ორიგინალში წაეკითხა. ხოლო ფოლკნერი წელიწადში ერთხელ თავიდან კითხულობდა რომანს.

სერვანტესს ყურადღება არც პოლიტიკოსებმა დააკლეს. ამერიკის პრეზიდენტი, თომას ჯეფერსონი, „აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ავტორი, თავის შვილებს ავალებდა, დღეში დონ კიხოტეს 10 გვერდი წაეკითხათ, რათა კარგად ესწავლათ ესპანური ენა.

სერვანტესის სიყვარული კომიკური ხასიათისა გახდა ვენესუელაში ყოფილი პრეზიდენტის, უგო

ჩავესის დროს. მან ნობელის პრემიის ლაურეატს, პორტუგალიელ მწერალს, სარამაგუს მიმართა თხოვნით, სერვანტესის რომანისთვის წინასიტყვაობა დაეწერა, *დონ კიხოტეს* ერთი მილიონი ეგზემპლარი მოსახლეობას უფასოდ დაურიგა და ტელევიზორანიდან მოითხოვა რომანი წაეკითხათ, რათა დონ კიხოტეს გმირობით შთაგონებულებს ებრძოლათ თანასწორობისთვის და ხალხის ბედნიერებისთვის.

დონ კიხოტემ თეოლოგების ინტერესიც მიიპყრო. რომის პაპი ბენედიქტე სერვანტესის თაყვანისმცემელი, ერთგული მკითხველი და კომენტატორია.

გარდა იმისა, რომ დონ ორტეგა ი გასეტის სიტყვებით, ევროპულ პროზაში ფაქიზი ფილიგრანული დეკორივით *დონ კიხოტეს* კვალი ჩანს და ექო ისმის (*Ortega y Gasset, José, Meditaciones del Quijote*), კიხოტეს და სანჩოს თავგადასავალი მომდევნო საუკუნეების მუსიკოსების, მხატვრების, რეჟისორების, მოქანდაკეების შთაგონების წყაროდ იქცა.

„წინვო, თუ ბედი გაქვს და კარგი მკითხველი შეგვხდება...“ — წერდა სერვანტესი და მას მართლაც შეხვდა შესანიშნავი მკითხველი, ხორხე ლუის ბორხესი, რომელიც მრავალჯერ უბრუნდებოდა *დონ კიხოტეს*, მასში „ფარული მაგიის“ ძიებაში. სწორედ ბორხესმა მშვენივრად და პარადოქსის სახით ახსნა თავის 1938 წ. დაწერილ განთქმულ მოთხრობაში *პიერ მენარი, დონ კიხოტეს ავტორი*, რატომ იწვევს ხანდახან პოპულარობა გაუგებრობას და რატომ არ არსებობს ერთი, ჩამოყალიბებული, მყარ ჩარჩოში ჩასმული ავტორიტეტული და საბოლოო აზრი იმის შესახებ, რისი თქმაც სერვანტესს სურდა. მოთხრობის მოქმედმა პირმა, გამოგონილმა ფრანგმა მწე-

რალმა, პიერ მენარმა განიზრახა, XX საუკუნეში „სიტყვასიტყვით“ (palabra por palabra) ხელახლა დაეწერა სერვანტესის რომანი. მიუხედავად იმისა, რომ

სერვანტესის და მენარის ტექსტები ნამდვილად იდენტურია, მაგრამ მეორე თითქმის უსაზღვროდ უფრო მდიდარია (უფრო ორაზროვანი, იტყოდნენ მისი მძაგებლები; მაგრამ ორაზროვნება სიმდიდრეა). (Borges 1994)

ბორხესი მიიჩნევს, რომ ნაწარმოებს კონტექსტი ქმნის. დონ კიხოტეს მკითხველთა ყოველი ახალი თაობა ხელახლა „წერდა“ რომანს და მას ახალი შინაარსით ავსებდა. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც შემდეგი შემთხვევა: შეერთებული შტატების ერთ-ერთ უნივერსიტეტში სტუდენტები თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ სერვანტესის რომანის განთქმულ ეპიზოდზე, სადაც დონ კიხოტე შეებრძოლება ქარის წისქვილებს (I, 8). ერთი სტუდენტის აზრით, ეს ეპიზოდი მოქმედი პირის გადაჭარბებული წარმოსახვის უნარის შესანიშნავი მაგალითია. მეორე სტუდენტმა განაცხადა, წისქვილებისა და მათი უზარმაზარი ფრთების ზომის აღწერა ვიზუალურად შთაბეჭეტავს ხდისო სცენას. მესამემ ასეთი აზრი გამოთქვა: რაკი ქარის წისქვილები ახალი შემოტანილი იყო ნიდერლანდებიდან, გამოდის, რომ სერვანტესის პერსონაჟი ახალ ტექნოლოგიას ებრძვისო. კიდევ ერთი სტუდენტის აზრით, ესპანეთში ქარის წისქვილი შუა საუკუნეებიდან არსებობდა და განკუთვნილი იყო იმისთვის, რომ ხორბალი შეენახა გლეხისთვის. კიდევ ერთმა დასძინა, ეს ეპიზოდი სიმბოლურად გამოხატავსო ღარიბების ბრძოლას მდიდრების ან სამეფოს ინსტიტუციების წინააღმ-

დეგ. წისქვილის ფრთები მიანიშნებს ბედის ძალა-ზეო – განაცხადა კიდევ ერთმა სტუდენტმა. და ბოლოს ერთ-ერთმა გაკვირვებით თქვა, დონ კიხოტე დაუფერებლად პოსტმოდერნისტულიაო. პროფესორმა კი სტუდენტებს აჩვენა ველასკესის ტილოს – „ჯამბაზ ხუან დე კალაბასას პორტრეტი“ – რეპროდუქცია, სადაც ჯამბაზს მარცხენა ხელში უჭირავს სათამაშო ბზრიალა, რომელიც ქარის წისქვილის მსგავსად მიანიშნებს ადამიანის გულუბრყვილობასა და შერყეულ ფსიქიკაზე (Parr / Vollendorf 2014, 113).

რომანის მთავარი პერსონაჟები გასცდნენ დროის, სივრცის, ენის, კულტურის საზღვრებს. ლამანჩელი რაინდი და მისი მსახური მკითხველებსთვის ბევრად უფრო „რეალურ“ პერსონაჟებად იქცნენ, ვიდრე რეალურად არსებული ისტორიული პიროვნებები. 2005 წ. 24 დეკემბერს, დღის 14.30 სთ. სერვანტესის დონ კიხოტემორ ესპანელ მთამსვლელთან ერთად „დაიპყრო“ ყველაზე მაღალი მწვერვალი ამერიკის კონტინენტზე, აკონკაგუა (Aconcagua 6.962 მ), არგენტინის ანდეზში. და იქ ერთ-ერთმა მთამსვლელმა, ხაბიერ კანტერომ, მწვერვალისა და სერვანტესის რომანის მაგიით აღელვებულმა, ხმამაღლა წაიკითხა ნაწყვეტი შეუპოვარი იდალგოს თავგადასავლიდან. წიგნი, რომლის სატიტულო გვერდზე ალპინისტებმა თავიანთი სახელები დააწერეს, სათუთად ინახება მადრიდის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ცხენზე ამხედრებული დონ კიხოტეს გამოსახულება, რომანის სხვადასხვა ეპიზოდი ყოველდღიური ცხოვრების განუყრელ ატრიბუტებად იქცა და უკვე დიდი ხანია ამშვენებს გობელენებს, სუვენირებს, საფოსტო მარკებს, სასურსათო პროდუქტების ეტი-

კეტებს, ყოველდღიური მოხმარების ნივთებს. ტატუს სახით ზოგი ეგზალტირებული ახალგაზრდის სხეულის ნაწილებსაც ამშვენებს იდალგოს გამოსახულება. ეჭვი მეპარება, ამ ახალგაზრდებს რომანი ჰქონდეთ წაკითხული, მაგრამ იმათთვისაც კი, ვისაც რომანი არ წაუკითხავს, მთავარი პერსონაჟის, დონ კიხოტეს და მისი მსახურის, სანჩოს სახელები ნაცნობია და ბევრის მთქმელი. სერვანტესის შემოქმედება შესწავლილია სათანადო სიღრმითა და მრავალმხრივობით. დონ კიხოტეს ირგვლივ შეიქმნა არაჩვეულებრივად საინტერესო და მდიდარი კვლევითი ლიტერატურა, რომელსაც ესპანეთში „ელ სერვანტიზმოს“ (el cervantismo) უწოდებენ და რომელშიც აისახება ყველა ქვეყნის და ეპოქის მხატვრული ტენდენციები და ლიტერატურული გემოვნება. საკმარისია, დავასახელოთ ბარსელონაში გამოქვეყნებული შთამბეჭდავი ხუთტომეული ბიბლიოგრაფია, რომელიც იქმნებოდა 1941-64 წლებში – Catálogo de la Colección Cervantina. ვინ უწყის, რამდენი ახალი კვლევა მიემატა ამ კატალოგს?!

ამ პატარა გზამკვლევის ავტორიც, უწინარეს ყოვლისა, დონ კიხოტეს ერთგული მკითხველია. ყოველ წაკითხვაზე ახალი კითხვა მიჩნდება, რომლებიც უპასუხოდ რჩება. თავს უფლებას ვაძლევ, მოვიყვანო დონ კიხოტეს უკანასნელი მოგზაურობის ის პასაჟი, რომელიც მეორე წიგნის ბოლოსაა აღწერილი და რომელსაც ხშირად ვუბრუნდები და ზეპირად ვიმეორებ.

სიცოცხლის ბოლოს, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე იხსენებდა ალბათ ცხოვრებისაგან დაღლილი მეზღვაური, ჯარისკაცი და მკითხველი,

დონ მიგელ დე სერვანტესი, ზღვის სურნელს. სად თავდება სერვანტესი და სად იწყება დონ კიხოტე?

დონ კიხოტემ და სანჩომ მიმოიხედეს და თავინათ სიცოცხლეში პირველად დაინახეს ზღვა, უზარმაზარი და უკიდევანო მოეჩვენათ, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე რუიდერის ტბები, ლამანჩაში რომ ენახათ, სანაპიროსთან მდგარი ხომალდებიც შენიშნეს, რომლებზედაც იალქნები დაეშვათ და ძირს დახრილ ფერად დროშებს და ალმებს ისეთი ფრიალი გაჰქონდათ ქარში, გეგონებოდათ, ზღვის ზედაპირს ელაციციბიან და ტალღებს კოცნიანო. გემბანებიდან ბუკნალარისა და დაფდაფთა ხმა მოისმოდა და შემოგარენს ხან საამური, ხანაც საომარი ჰანგები ეფინებოდა, შემდეგ ხომალდებმა მყუდრო უბეში, თვალის სასეიროდ, სამხედრო ვარჯიში გამართეს და სწორედ ამ დროს ქალაქიდან სანაპიროზე გამოსული, საუცხოო ცხენებზე ამხედრებული და საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული მხედრებიც საწვრთნელ ასპარეზობაში ჩაებნენ. გემბანზე ჩამწყრივებული მეზღვაურები თოფებს ისროდნენ და გალავნის ქონგურებზე გადმომდგარი ჯარისკაცებიც სროლითვე აძლევდნენ პასუხს. ციხე-სიმაგრეიდან ზარბაზნების გრუხუნის აყრუებდა არემარეს, ხომალდებიდან კი ქვემეხების გრგვინვა ისმოდა. სიხარულით მფრთონავი ზღვა, მოზეიმე დედამიწა, კამკამა ჰაერი, რომელსაც დროდადრო დენთის ბოლო ამღვრევდა — ყველაფერი ეს უცნაური აღტაცებით ავსებდა კაცის გულს. სანჩოს ვერ წარმოედგინა, თუ ზღვაში მცურავ ამ უზარმაზარ კიდობანს ამდენი ფეხი ექნებოდა. (II, 61)

დაბოლოს

ძვირფასო მკითხველო,
(თუ კი ამ პატარა წიგნს მკითხველი ეყოლება)

მე შემოგთავაზეთ მოკრძალებული ბილიკი იმ საოცარი სამყაროსკენ, რომელსაც „დონ კიხოტე“ ეწოდება.

თქვენ მას მიუახლოვდით, შეაღეთ კარი, შეათვალიერეთ იგი, შეავსეთ თქვენი წინარეცოდნითა და მოლოდინებით. ახლა კი თავად უნდა გადაწყვიტოთ, დარჩებით და დასახლდებით ამ სივრცეში, რათა თქვენივე თვალებით, გულით და სულით დარწმუნდეთ, რომ სერვანტესთან ურთიერთობა არ იქნება ამოდ დაკარგული დრო, თუ გამოხვალთ და კარს მიიხურავთ.

გმადლობთ.

ბამოყენებული ლიტერატურა

ლიტერატურული ტექსტები:

სერვანტესი, მიგელ დე. 2008. *მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი*. ტ. 1-2. ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. თბილისი: საუნჯე.

სერვანტესი, მიგელ დე. 1965. *სამოძღვრებო ნოველები*. თარგმნა ნინო სამუკაშვილმა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

Borges, Jorge Luis. 1994. Pierre Menard, autor del Quijote. In *Narraciones*. Madrid: Cátedra.

Cervantes, Miguel de. 2015. *Don Quijote de la Mancha*. Edición conmemorativa IV Centenario Cervantes. Barcelona: Real Academia Española.

Cervantes, Miguel de. 1989. *Novelas ejemplares* v. I. Madrid: Cátedra.

Unamuno, Miguel de. 1988. *Andanzas y visiones españolas*. Madrid: Alianza Editorial.

Unamuno, Miguel de. 1987. *Vida de Don Quijote y Sancho*. Madrid: Alianza Editorial.

სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე:

ლალანიძე, მერაბ. 2011. სერვანტესიდან დონ კიხოტამდე. In *მწერლის ცხოვრება დროში და სიტყვაში*. გვ.325-329. თბილისი:მემკვიდრეობა.

სამეცნიერო ლიტერატურა რუსულ ენაზე:

Ауэрбах, Эрих. 1974. Зачарованная Дульсинея. *Мимесис*, 338-361. Москва: Прогресс.

Багно, Всеволод. 1988. *Дорогами «Дон Кихота»*. Москва: Книга.

Багно, В.Е., И. Пискунова & О.А. Светлакова (ред.). 2005. *Iberica. К 400-летию романа Сервантеса «Дон Кихот»*. Российская Академия Наук. Сборник, Санкт-Петербург: Наука.

Шкловский, Виктор. 1965. Рождение нового романа. *Повести о прозе*. Том I, 157-185. Москва: Художественная литература.

სამეცნიერო ლიტერატურა ესპანურ ენაზე:

Ayala, Francisco. 2015. La invención del “Quijote”. *Don Quijote de la Mancha*. Edición conmemorativa IV Centenario Cervantes, XLIX-IXIII. Barcelona: Cátedra.

Azorín. 2018. *La ruta de don Quijote*. Madrid: Cátedra.

- Cadalso, José. 1987. *Cartas marruecas*. Madrid: Cátedra.
- Cascardi, Antony J. , editor. 2008. *The Cambridge Companion to Cervantes*.New York:Cambridge University Press.
- Madariaga, Salvador de. 2005. *Guía del lector del “Quijote”*. Madrid: Colección Austral.
- Martínez Mata, Emilio. 2008. *Cervantes comenta el Quijote*. Madrid: Cátedra.
- Neuchäfer, Hans-Jörg.1999. *La Ética del Quijote*. Madrid: Gredos.
- Rico, Francisco. 2015. Don Quijote de la Mancha. Nota al texto. *Don Quijote de la Mancha*. Edición conmemorativa IV Centenario Cervantes, XCVII-CXXI. Barcelona: Real Academia Española.
- Riley, Edward C. 2000. *Introducción al “Quijote”*. Barcelona: Crítica.
- Riquer, Martín de. 2015. Cervantes y el “Quijote”. In *Don Quijote de la Mancha*. Edición conmemorativa IV Centenario Cervantes, LXV-XCV. Barcelona: Real Academia Española.
- Riquer, Martín de. 2010. *Para leer a Cervantes*. Barcelona: Acantilado.
- Vargas Llosa, Mario. 2015. Una novela para el siglo XX. *Don Quijote de la Mancha*. Edición conmemorativa IV Centenario Cervantes, XXXIII - XLVIII. Barcelona: Real Academia Española.
- Villanueva, Darío. 2015. Prólogo a la segunda edición del IV centenario. *Don Quijote de la Mancha*.

სამეცნიერო ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

- Bjornson, Richard (ed.). 1984. *Approaches to Teaching Cervantes' Don Quijote*. New York: The Modern Language Association of America.
- Bloom, Harald. 2005. Introduction: Don Quijote, Sancho Pansa, and Miguel de Cervantes Saavedra. *Don Quixote*, xxii-xxxv. New York: HarperCollins Publishers.
- Borges, Jorge Luis. 1970. Partial Magic in the *Quijote*. *Labyrinths*, 228-231. London: Penguin Books.
- Borges, Jorge Luis. 1970. Parable of Cervantes and the Quixote. *Labyrinths*, 278. London: Penguin Books.
- Fuentes, Carlos. 2012. Introduction. *Don Quijote*. Translated by Tobias Smollett, vii-xxvii. New York: The Modern Library.
- Grossman, Edith. 2005. Translator's Note to the Reader. *Don Quixote*, XVII-XX. New York: HarperCollins Publishers.
- Nabokov, Vladimir. 1983. *Lectures on Don Quijote*. Orlando, Florida: Harvest/HBJ Book.
- Parr, James A. & Lisa Vollendorf, editors. 2014. *Approaches to Teaching Cervantes*. New York: The Modern Language Association of America.
- Riley, E.C. 1992. *Cervantes's Theory of the Novel*. Newark, Delaware: Juan de la Cuesta.

Weigner, John G. 1985. *The substance of Cervantes*.
New York: Cambridge University Press.

სამეცნიერო ლიტერატურა ფრანგულ ენაზე:

Canavaggio, Jean. 1993. Cervantès. In *Histoire de la littérature espagnole*. Tome I, 532-573. Paris: Fayard.

Joly, Monique. 1996. *Etudes sur Don Quichotte*. Paris: Publications de la Sorbonne.

ელექტრონული წყაროები:

Borges, Jorge Luis. 1997. A Recovered Lecture on Cervantes. *Revista de literatura hispánica*: No. 45, Article 20. (<https://digitalcommons.providence.edu/inti/vol1/iss45/20>)

González Echevarría, Roberto. 2009. *Cervantes' Don Quijote*. Open Yale Courses in Fall 2009. (<http://www.yale.edu/span-port/>)

Ortega y Gasset, José. *Meditaciones del Quijote*. (<http://www.gutenberg.org/files/57448/57448-h/57448-h.htm>)